№ 3002
სამშაბათი,
14 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3002
სამშაბათი,
14 თებერვალი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის ეკ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავა ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

12 თებერვალს, დილის 7 საათზე. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ეფემია დავითის ასული ნიჟარამისა,

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა თავ. კონსტანტინე დავითის ძე შვილებით, შვილისშვილით და სიძით. პანაშვიდი ყოველ დღე, დილით 12 ს., საღამოთი 4 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. მაღლაკში ხუთშაბათს, 16 თებერვალს, დილის 10 საათზე. (2—54—1)

მელანია ივანეს ასული, სოფიო გრიგოლის ასული, იოსებ გრიგოლის ძე, გაბრიელ გრიგოლის ძე და თამარ გრიგოლის ასული რომანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 15 თებერვალს 10 საათზე, ანჩისხატის სობოროში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

გრიგოლ ზაქარიას ძის რომანიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

მარიამ გიორგის ასული და ივანე ქაიხოსოს ძე დავითაშვილები, აუწყებენ გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას და ძვირფასის შვილის დაკარგვას

ნიკოლოზ (კოლა) ივანეს ძის დავითაშვილისას

ქ. ქუთაისში. დაკრძალვა მოხდება სამშაბაას 4 1/2 ს. 14 თებერვალს, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზედ.

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო
გიმნაზიის
პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 15 თებერვალს, სწავლა განახლდება ყველა კლასებში. (3—6.—1)

ვისაც სურს
სახლიააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს გემოიანათ, იაფად და მკვიდრათ, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სხვაგვ საქმეებსაც.
მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ“-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.
(10—6—6) ტეხნიკოსი **გიგო თოიძე.**

ა. პ. შელგინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ნიებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 1/2 საათზედ. (თვ.—26)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—13)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11 1/2 ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (15—კვ.—3)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

„ცნობის ფურცელზე“
ხელის მოწერა მიიღება: **ჭიათურაში** ბ-ნ **სოფ. ტარიელიშვილთან** ქიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. **ქუთაისში** ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

ტფილისი, 14 თებერვალი.

კონსტიტუციონალ დემოკრატების პარტია.

პოლიტიკურ პარტიების იდეიური შინაარსი პროგრამებიდან ირკვევა, მაგრამ აქედან ყოვლად შეუძლებელია იმის დასკვნა, ვითომც პროგრამა ყოველთვის სრული გამოხატულება იყოს პარტიის ხასიათისა. ხშირად პარტია განძრახ სცდილობს გვერდი აუქციოს ისეთს საკითხებს, რომელთაც ღრმა პრინციპიალური მნიშვნელობა აქვთ, ზოგჯერ-კი პარტია უნებურად და თითქოს შემთხვევით სდუმს ასეთს საკითხებზე. პროფესსორი ჩუპროვი კონ.-დემოკრატების და სოც.-დემოკრატების პარტიათა პროგრამებს ადარებს ერთმანეთს და დაასკვნის, რომ მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის, ხოლო რაც შეეხება კერძოდ მუშათა საკითხს, აქ კონ.-დემოკრატების პროგრამა უფრო მეცნიერულად, უფრო გარკვევით და უფრო პრინციპიალურად მოითხოვს შრომის ინტერესების დაცვას, ვიდრე სოც.-დემოკრატების პარტიაო. ბ-ნს ჩუპროვს ჰგონია, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია უეჭველად ისარგებლებს კონსტიტუციონალთა პროგრამით და ამ უკანასკნელის მიხედვით შეასწორებს თავის პროგრამას, მაგრამ ამისდა მიუხედავად ჩუპროვს არა ჰგონია, რომ ამ პარტიათა შორის თვალსაჩინო და ღრმა განსხვავება არ იყოს. (გაზეთი „პრავო“ № 45-46).

როგორც ჩვენს პირველს წერილში გამოვარკვიეთ, კონ.-დემოკრატების პარტია მრავალ საგნის შესახებ განსაზღვრულ პასუხს არ იძლევა და ყოველს წევრს პარტიისას უფლება აქვს ისეთი აზრებით და იდეალებით იყოს გამსჭვალული, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ამავ პარტიის სხვა წევრთა შეხედულებას. ასეთი გამოურკვევლობა პარტიის პროგრამისა დეკემბრამდე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ეხლა, განმათავისუფლებელ მოძრაობის ქუჩაზე გამოსვლამდე კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე შემდეგ. ამ ჟამად პარტია პირდაპირ აცხადებს, რომ ის რესპუბლიკის მომხრე არ არის, არ თანაუგრძნობს კერძო საკუთრების დაუყოვნებლივ გაუქმებას, შესაძლოდ მიაჩნია, მიანაწილეობა მიიღოს 11 დეკემბრის კანონზე შემდგარს სახელმწიფო სათათბიროში და სხვა. რაც ხანი გადის, კონსტიტუციონალისტების პარტია მით უფრო ავიწროვებს და ასუსტებს თავის რადიკალიზმს, მაგრამ ამისდა მიუხედავად პარტიას ისინი-კი არ ანებებენ თავს, ვინც იმის მარცხენა ფრონტზე იდგნენ, პირიქით, სწორედ ისინი გადიან პარტიიდან, ვინც მარჯვენა ფრონტს შეადგენდნენ. ცხადია, რომ კონსტიტუციონალისტების პარტიისთვის ეგრედ წოდებულ საპროგრამო საკითხებს პრინციპიალური მნიშვნელობა არც წინად ჰქონია და არც ეხლა აქვს. შემცდარია აზრი, ვითომც ყველა პოლიტიკურ პარტიისთვის უპირველესი მნიშვნელობა პროგრამაში ჩაწერილ მუხლებს ჰქონდეს, პირიქით, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ძალიან ხშირად კერძო პირების ერთს პარტიად შემაკავშირებელ ცემენტის მნიშვნელობა საპროგრამო პუნქტებს-კი არა აქვს, არამედ მოქმედების ტაქტიკას. სწორედ ასეთის ტაქტიკის ნიადაგზე შემდგარის პარტიის ხასიათი აქვს კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიას.

კონსტიტუციონალისტების ერთ-ერთი მეთაური, ცნობილი მეცნიერი პ. ნ. მილიუკოვი პირველს საპარტიო კრებაზე სცდილობდა პროგრამის ხაზები შემოევლო თავის პარტიისათვის, საპროგრამო მიჯნები ეჩვენებინა, როგორც უკიდურეს მემარცხენე, აგრეთვე სხვა მემარჯვენე პარტიებისაგან გამოსაყოფად, მაგრამ იმისმა ცდამ სრულიად უქმად ჩაიარა. მილიუკოვის მოწინააღმდეგეებმა შეურყეველის საბუთებით დაამტკიცეს, რომ მიჯნა იქ არ იმყოფება, სადაც იმას ეგულება. ბ-ნ მილიუკოვის სიტყვით, მარჯვნივ მიჯნა იქ არის, სადაც მემარჯვენე პარტიები რუსეთის აგრარიების და მრეწველების ვიწრო კლასსიურ ინტერესების დასაცავად გამოვიდნენ. — „ჩვენი პარტია არასოდეს ამ ინტერესებს არ უდარაჯებსო“. მარცხენა ფრონტის მიჯნას ბ-ნი მილიუკოვი ასე ახასიათებს: „ჩვენ არა ვთხოულობთ დემოკრატიულ რესპუბლიკას და საწარმოვო იარაღთა გასაზოგადოებრივობას. ამ ლოზუნგებს არ მივდევთ, ზოგნი იმიტომ რომ საერთოდ ამ ლოზუნგებს შეუწყნარებლად სთვლიან, ზოგნიც იმიტომ, რომ ეს ლოზუნგები პრაქტიკულ პოლიტიკის გარეშე ეგულებათ“. თვით ბ-ნის მილიუკოვის სიტყვებიდან სჩანს, რომ კონსტიტუციონალთა პარტიას მარცხენა ფრონტზე ერთი-კი არა, ორი მიჯნა ჰქონია: პრაქტიკული პოლიტიკა და პრინციპიალური შეუწყნარებლობა უკიდურეს მემარცხენე პარტიების ლოზუნგისა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესეც საკმარისია იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ პროგრამა არ შეადგენს კონ.-დემოკრატთა პარტიის ცემენტს.

თავის თავად იბადება საკითხი, თუ არ პროგრამა, თუ არ საერთო იდეალი, მაშ რა აკავშირებს კონსტიტუციონალისტებს ერთს პარტიად, რა აძლევს მათ მთლიანობას?

კონ.-დემოკრატების პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, ბ-ნი საფრანკი სწერს: „ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ერთად-ერთი საფუძველი ყოველის სოციალურის და პოლიტიკურის წყობილებისა, ერთად-ერთი საფუძველი და მომქმედი ძალა ყოველის პოლიტიკურის და სოციალურის პროგრესისა და რევოლიუციისა არის საზოგადოების აზრი, ხალხში გაბატონებული სარწმუნოება, მისწრაფება და სულიერი განწყობილება. პირველის შეხედვით, ეს თითქოს გაცვეთილი აზრია, და რუსეთში იმას გასავალი არა აქვს. კულტურული განვითარება განსაზღვრულს საფეხურზე უნდა ავიდეს, ისტორიული გამოცდილება უნდა მოგროვდეს და პოლიტიკური სიბრძნე უნდა შემუშავდეს, რომ ნათლად და შეურყევლად დამტკიცეს ძირითადი მძლეთა-მძლეობა საზოგადოების აზრისა“... თუ ერთად-ერთი ძირითადი ძალა ისტორიულ განვითარებისა საზოგადოების აზრია, აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის იარაღი არის მხოლოდ ბანკეტები და რეზოლიუციები და არა „ძალით დაპყრობა პოლიტიკურის უფლობისა“, არა პოლიტიკური გაფიცვა, არა შეიარაღებული აჯანყება და სხვ. აზრს პიროვნება ჰქმნის, ამიტომ ყველა რევოლიუციაზე მეტი ფასი პიროვნებასა აქვს; პიროვნება არ უნდა გაიწიროს არაფრის გულისათვის, ადამიანი ყოველთვის და ყველაზე მაღლა უნდა იდგეს; ადამიანი არაფერს არ უნდა სწირავდეს მსხვერპლად თავის თავს. მოკლედ რომ მოვჭრათ სიტყვა, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უარ უნდა ჰყოს სარევოლიუციო ტაქტიკა.

ეს აზრები კონსტიტუციონალისტების სტიქიას შეადგენენ. მათს წერილებში უხვად არის გაფანტული ასეთი სენტენციები და, ჩვენის ფიქრით, სწორედ ეს შეადგენს კონ.-დემოკრატთა პარტიის იდეიურს დამახასიათებელს შინაარსს. 17 ოქტომბრამდე კონ.-დემოკრატების პარტიაში თავს იყრიდნენ ყველა ის საოპოზიციო ელემენტები, რომელნიც მშვიდობიანად აპირობდნენ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დამხობას. 17 ოქტომბრის შემდეგ ერთი ნაწილი კონსტიტუციონალისტებისა სულერთიან დაკმაყოფილდა და ამიტომ პარტიასაც თავი დაანება; დარჩნენ უფრო რადიკალურ აზრების მიმდევარნი, მაგრამ ეხლა იმათ აშკარად დაინახეს, რომ პარტიას შეიძლება სულერთიან ჩამოშორდნენ ზომიერი ელემენტები და საჭიროდ დაინახეს მათს შესაკავებლად თვით პროგრამის გაზომიერებაც. ამგვარად გაზომიერდა კონსტიტუციონალისტების პროგრამა, მაგრამ აქ თავი იჩინა სხვა გასაჭირმა. ეგრედ წოდებული მესამე ელემენტი, ე. ი. საერობო და საქალაქო თვითმართველობაში მოსამსახურენი, რომელნიც წინად კონ..დემოკრატთა პარტიის ბურჯს შეადგენდნენ, ეხლა პროგრამის ზომიერებისა გამო შეყოყმანდნენ და იმათაც პარტიიდან გასვლა დააპირეს. ამ გვარად აუცილებელ საჭიროებად შეიქნა დასაბუთება იმ პოლიტიკურის სიბრძნისა, რომელიც გაამართლებდა „მშვიდობიან“ სოციალისტების და რესპუბლიკანელებისთვის დარჩენას კონსტიტუციონალთა პარტიაში. ასეთი სიბრძნის ქადაგება დაიწყო საარგუმენტაციო საქმეთა ჩინებულმა ოსტატმა ბ-ნმა ბეტრე სტრუვემ.

„ვისთვისაც პოლიტიკური პასუხის მგებლობა ფუჭი სიტყვა არ არისო, სწერს სტრუვე, ის არ გაკადნიერდება და თავის პოლიტიკურს ქადაგებაში არ შეიტანს ყველაფერს, რაც კი თითონ სამართლიანად მიაჩნია იმისდა მიუხედავად, თუ რა გავლენას იქონიებს ეს ქადაგება ხალხზე და რა რეალურს ნაყოფს მოიტანს იგი. აზრი და გრძნობა პოლიტიკურის პასუხის მგებლობისა ჰქმნის განსაკუთრებითს „ოპპორტუნიზმს“, რომელიც თუმცა გარეგნობით უპრინციპობას ჰგავს, ნამდვილად დაფუძნებულია ღრმა მორალურს საფუძველზე და ზნეობრივად სრულიად მართალია“. (Полярная Звѣзда № 7). ამ გვარად კონ.-დემოკრატების ლიდერი ხმა-მაღლა ჰქადაგებს ოპორტუნიზმს, ზნეობრივად ამართლებს იმას და სიბრალულის თვალით დასცქერის ზემოდან იმათ, „ვისაც ჯერ კიდევ ძალიანა სწამს პროგრამები“.

ბ-ნ სტრუვეს სიტყვები კონ.-დემოკრატთა პარტიას და იმის იდეიურ შინაარს საუკეთესოდ ახასიათებს. ოპპორტუნიზმი ანუ პრინციპიალური უპრინციპობა თავიდამვე ამ პარტიის დედა-ბოძი იყო. ეს უპრინციპობა წინად ნაკლებ სჩანდა, ეხლა მეტად გამოჩნდა, მომამალში იგი ამ პარტიის ყველა სხვა თვისებას დაჩრდილავს. ეს აუცილებელი ლოღიკური დასკვნაა იმ პოლიტიკურის სიბრძნისა, რომელიც ისტორიულ განვითარების ძირითადს ძალას საზოგადოების აზრში ჰხედავს. ეს პოლიტიკური სიბრძნე ლოღიკურად მოითხოვს საზოგადოების აზრის წინაშე მუხლმოდრეკილობას და, რადგან საზოგადოებაში აუცილებლად აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ამიტომ ლოღიკურადვე მოითხოვს კომპრომისსებს, ე. ი. პრინციპიალურ უპრინციპობას ანუ ოპორტუნიზმს.

ტფილისის კონ.-დემოკრატების კრებაზე გასულს კვირას ოპპორტუნიზმმა უკვე იჩინა თავი, მაგრამ ჯერჯერობით სუსტად და ნაზად. მომავალში იმათი ოპპორტუნიზმი აუცილებლად გამოაშკარავდება და ჩვენ გვგონია ისე მკვახედ, ისე ტლანქად, რომ მოსკოველი და პეტერბურგელი კონსტიტუციონალისტები სულ ერთიან გაფასდებიან ჩვენებურებთან შედარებით პრინციპიალურ უპრინციპობაში იმდენი მომხრე და ისეთი ნაყოფიერი ნიადაგი, როგორც ტფილისში, არა გვგონია კიდევ სხვაგან ჰქონდეს სადმე. გაუგებრობის თავიდან ასაცდენად ვიტყვით ხაზ-გასმით, რომ ჩვენ აქ ტფილისის კონ.-დემოკრატები გვყავს მხედველობაში და არა ქართველი კონ.-დემოკრატები. უკანასკნელთა შესახებ ჩვენს აზრს მაშინ გამოვთქვამთ, როცა ისინი დაასრულებენ თავის საორგანიზაციო საქმეებს და მოქმედებას შეუდგებიან.

პარტიები რუსეთში

შემდეგი *).

II კონსტიტუციის მომხრენი

მეორე დიდ ჯგუფს შეადგენენ ის პარტიები, რომელსაც სწამთ კონსტიტუცია, რომელნიც მომხრენი არიან რუსეთის წესწყობილების შეცვლისა საკონსტიტუციო მონარხიად. ამ ჯგუფში ბევრი სხვა და სხვა ახლად აღმოცენილი პარტიაა, რომელნიც ახლო მომავალში უთუოდ შეასრულებენ პოლიტიკურ როლს. პირველ ჯგუფს (თვითმპყრობელობის მომხრეთ), როგორცა ვსთქვით, დღეს-დღეობით აქვთ მნიშვნელობა, სანამ გამხეცებული რეაქცია მძვინვარებს, ხოლო მალე, როცა რეაქცია მოსუსტდება, უეჭველია მეორე ჯგუფის პარტიები იჩენენ თავს. ახლაც ეს პარტიები ემზადებიან ენერგიულად საპარლამენტო არჩევნებისა და მოღვაწეობისათვის.

როგორც პირველი ჯგუფი, ესეც სამ ნაწილად იყოფა: მემარჯვენე, ცენტრი და მემარცხენე. მემარჯვენე ნაწილი უფრო უახლოვდება პირველ ჯგუფის მემარცხენეთ. აქ არიან „სამშობლო კავშირი“ (Отечественный союзъ), „ცარისტები“ და „უფლებრივ წესწყობილების პარტია“. ვნახოთ თითოეული რას ამბობს.

„სამშობლო კავშირი“-საზრით, 17 ოქტომბერს თვით მეფემ ინება და თავისი უფლება შეზღუდა. რადგან ასეთია მეფის სურვილი, ჩვენ უნდა სიტყვის შეუბრუნებლად დავემორჩილოთ. მაგრამ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ამიერიდან მაინც მეფის უფლებანი შეუზღუდველი დარჩნენ. ამიტომ ამ პარტიის თავი და თავი მისწრაფებაა—ბრძოლა რევოლიუციის და განმათავისუფლებელ მოძრაობის განგრძობის წინააღმდეგ. სახელმწიფო წესწყობილება უნდა შეიცვალოს 17 ოქტომბრის მანიფესტის მიხედვით და ამაზე უნდა შეჩერდეს მთელი დღევანდელი მოძრაობა. თითქმის ამასვე ქადაგებს „ცარისტების“ ჯგუფი. მხოლოდ ზედმეტად ერთ რეფორმას თხოულობს: სახელმწიფო საბჭო უნდა გადაკეთდეს მეორე (ზედა) პალატადაო; ამ განსხვავებით უნდა ასრულდეს 17 ოქტ. მანიფესტი და სახელმწიფოს რეორგანიზაცია ამაზე უნდა შეჩერდესო. ამ ორ პარტიაზე უფრო ძლიერია მესამე და უკანასკნელი ჯგუფი მემარჯვენე კონსტიტუციანალისტებისა: „უფლებრივ წესწყობილების პარტია“ (партія правового порядка) ესენი ამბობენ: რუსეთის იმპერიის მთლიანობა დაცულ უნდა იქმნას; განაპირა ქვეყნები ცენტრთან წინანდებურად მტკიცე ცენტრალისტურ პოლიტიკით უნდა იყვნენ შეერთებულნი. 17 ოქტ. მანიფესტით დაპირებული თავისუფლება აღსრულებულ უნდა იქნას, ამასთან ეხლავ უნდა იქმნას დამყარებული მშვიდობიანობა და წესიერება; ამისთვის საჭიროა ძლიერი მთავრობა, რომელმაც ბრძოლა უნდა გაუწიოს როგორც რევოლიუციას, ისე რეაქციასაც. ამ პარტიას თავისი გაზეთებიც აქვს: „რაზსვეტ“, „პრავო პორიადოკ“ და „როსსია“; დიდი ორგანიზაციები ჰყავთ პეტერბურგს, სმოლენსკს, რიაზანსა, ნ.-ნოვგოროდსა და პროვინციის ზოგიერთ სხვა ქალაქებში.

მეორე ჯგუფის ნაწილთა შორის ყველაზე ძლიერია დღეს ცენტრი, რომელსაც ეკუთვნიან: „17 ოქტომბრის კავშირი“, „ვაჭართა და მრეწველთა პარტია“, „პროგრესიულ-ეკონომიური პარტია“, „ზომიერ-კონსტიტ. პარტია“ და „სახალხო კეთილდღეობის პარტია“. ყველა ამ პარტიებს, უკანასკნელის გარდა, თითქმის ერთი და იგივე პროგრამმა აქვთ, განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჩვენ ცალკ-ცალკე არ ვახასიათებთ. ამ პარტიების პროგრამის შინაარსია: რუსეთის თვითმპყრობელობა გადავარდა; მან დაჰკარგა შემოქმედებითი ძალა, სახელმწიფოური ნიჭი ბიუროკრატიას აღარ აქვს. ასეთ პირობებში, რაღა საკვირველია, ანარხია და რევოლიუცია გაჩნდა. საჭირო შეიქნა სახელმწიფოს რეფორმა და აი, 17 ოქტომბრის მანიფესტმა აღნიშნა ის ელემენტარული საფუძველნი ახალ წესწყობილებისათვის, რომელნიც განაახლებენ რუსეთს. ამისთვის უნდა შევერთდეთ ყველა კონსტიტუციონალისტები, დავეხმაროთ მთავრობას 17 ოქტ. მანიფესტის განხორციელებაში და რუსეთში ნამდვილ საკონსტიტუციო წესწყობილების დამყარებისათვის უნდა ვიბრძოლოთ. რაც შეიძლება მალე უნდა იქნას მოწვეული სახელმწიფო სათათბირო, რომელიც ბოლოს მოუღებს როგორც ბიუროკრატიის დღევანდელ თვითნებობას, ისე უკიდურეს პარტიების აგიტაციას. კონსტიტუცია ისევ გააძლიერებს რუსეთს და დაამყარებს ნამდვილ მშვიდობიანობასა და თავისუფლებას. სახელმწიფო საბჭო ზედა პალატად უნდა გადაკეთდეს. უნდა გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო განაპირა ქვეყნების ავტონომიურად მოწყობა უარყოფილი უნდა იქმნას. ხუთმავე დასახელებულმა პარტიებმა რამდენჯერმე სცადეს შეერთება, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხეს. რადგან პროგრამა თითქმის ერთი და იგივე აქვთ, ალბად არჩევნებზე შეერთდებიან გარდა, როგორცა ვთქვით, „სახალხო კეთილდღეობის“ პარ-

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 3001

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიისა (п. народнаго блага); ამას ჰსურს, რომ რუსეთში ერთი პალატა იყოს მხოლოდ და რომ ხელმწიფემ შეჰფიცოს კონსტიტუციას,—ამით განირჩევა ცენტრის სხვა პარტიებისაგან.

მეორე დიდ ჯგუფს მემარცხენეთ შეადგენენ: „თავისუფლად მოაზრენი“ და „კონსტიტუციონ-დემოკრატები“. ეს ნაწილიც სხვა და სხვა ელემენტებისაგან შესდგება: არიან ზომიერი კონსტიტუციონალისტებიც, არიან რესპუბლიკის მომხრენიც. ყველას საერთოდ ახასიათებს შემდეგი რწმენა: სოციალურ თვალსაზრისის მიხედვით, სახელმწიფო უნდა იყოს დემოკრატიული, ხოლო იურიდიულის თვალსაზრისის მიხედვით—უფლებრივი. ამისათვის უნდა განხორციელდეს დემოკრატიული ხალხის მმართველობა. უნდა მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის კენჭის ყრით ან სახელმწიფო სათათბიროს უნდა მიენიჭოს დამფუძნებელ კრების უფლებანი დემოკრატიულ საარჩევნო წესების დასაკანონებლად. პალატა ერთი უნდა იქმნეს. განაპირა ქვეყნებს უნდა მიენიჭოს ავტონომია,—ზოგს სრული, ზოგს შემოკლებული. ამ ორ პარტიაში ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მწერალია (მ. კოვალევსკი, პ. სტრუვე, ჰესსენი, მილიუკოვი, მიაკოტინი, პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, პ. დოლგორუკი და სხვანი); თანაუგრძნობენ გაზეთები „ნაშა ჟიზნ“-ი, „ნაროდ. სვობოდა“, „რუსსკ. ვედომ“, „პრავო“, „სვობოდნი ნაროდ“, „ვეკ“ და სხვა. პარტიებში დიდძალი ინტელიგენცია შედის, ბევრი საერობო და საქალაქო თვითმართველობის მოღვაწე. მხნედ მუშაობენ პეტერბურგსა და მოსკოვში, სუსტად—პროვინციაში. ამ პარტიებს გარკვეული ეკონომიური პროგრამაც აქვთ: ფართო საფაბრიკო კანონმდებლობა და გლეხთა მიწად-მფლობელობის გაფართოვება.

ამ რიგად II ჯგუფი პოლიტიკურ პარტიებისა მომხრეა საკონსტიტუციო მონარქიისა; ზოგი 17 ოქტომბრის მანიფესტით და ზომიერ კონსტიტუციით კმაყოფილდება ზოგი უფრო დემოკრატიულ კონსტიტუციისათვის იბრძვის.

(დასასრული იქნება).

დასავლეთ საქართველოში

ლეჩხუმი. იანვრის ბოლო რიცხვებში ხმა მოვიდა, რომ რაჭა-ლეჩხუმში ჯარს ჰგზავნიან ზარბაზნებითაო. მცხოვრებნი შიშის ზარმა მოიცვა, რადგან ბევრი რამ ჰქონდათ გაგონილი... შეუდგნენ ლაპარაკს, თუ როგორ დაჰხვედროდნენ ჯარს, რომ ცოტათი მაინც მოელბოთ იმისი გული. არჩიეს და ბოლოს დაადგინეს, დაჰხვდნენ პურ-მარილით, ხატებით და სხვ. გამოუცხადონ მორჩილება და შეძლებისდა გვარად აასრულონ მოთხოვნილებანი. მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ხალხი ვერ დაამშვიდა და ზოგი სოფლებიდან ბარგი-ბარხანით და ქალებ ბავშვებიანა მთებში გაიხიზნა, სადაც შიშსა და კანკალში თოვლზე ათენებდა ღამეებს.

28 იანვარს ჯარი მოვიდა პოლკოვნიკ გავრილოვის და ვიცე-გუბერნატორის თავ. ჯ. დადეშკელიანის მეთაურობით. ხალხი დაჰხვდა ისე, როგორც ზევითა ვსთქვით ღამე გაატარეს სოფ. მექვენაში (34 ვერსია ქუთაისიდან). იმ ღამეს სოფელში ბევრი დაზარალდა. ზოგმა ინდაური დაჰკარგა ზოგმა ქათამი, ზოგმა ღორი და სხვა. ბევრისა ქვევრი აღმოჩნდა ახდილი და ღვინო დალეული. ერთმა ღარიბმა აზნაურმა ოცდა ოთხი კოდი სიმინდი დაჰკარგა. ეს სიმინდი ცხენებმა შესჭამეს· გადაიწვა ვარდენ ნემსაძის დუქანი.

მეორე დღეს მოახდინეს საზოგადოების ყრილობა და წარუდგინეს უკვე უწყებული მოთხოვნილებანი. ზოგიერთა შთაგონებით ხალხმა გასცა კაცები, აგრეთვე აღუთქვა მოთხოვნილებათა ვადაზე ასრულება.

ამის შემდეგ ჯარი ალპანის საზოგადოებისკენ გაემგზავრა. აქაც ხალხი პურ-მარილით, ხატებით, შემოსილ მღვდლებით და თეთრის დროშით დაჰხვდა. პოლკოვნიკმა გავრილოვმა მადლობა გამოუცხადა ხალხს ასეთის შეხვედრისათვის და უთხრა, უკეთუ მოთხოვნილებებს აასრულებთ, მშვიდობიანად წავალთო. ხალხმა აღუთქვა შეძლებისა გვარად ყველაფრის ასრულება. მაგრამ მცხოვრებნი ზარალს მაინც ვერ ასცდნენ. აქაც იგივე მოხდა, რაც მექვენაში. შეშინებული ხალხი აქედანაც გაიხიზნა აჭარა-ალპანაში, რომელიც გზას აკრავს, არავინ სახლში არ დარჩენილა. დაწვით ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებაში არავინ დამწვარა. აქვე დაიბარეს ჭყვიშის, ორბელის, ლაილაშის და იდგილობრივ საზოგადოებათა მცხოვრებნი, შეკრებილთ გამოუცხადეს მოთხოვნილებანი და ამ მოთხოვნილებათა ოთხ-ხუთ დღეში დაკმაყოფილება. ხალხმა აღუთქვა მქადაგებლების შესახებ ალპანის კრებამ უპასუხა, ამგვარი პირნი ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოვებიანო. მაზრის უფროსის თანაშემწემ ბ-ნმა ბაქრაძემ უთხრა ხალხს: მე კარგად ვიცი, რომ თქვენ მოთავეები დამალულნი გყავთ, მოსძებნეთ, მოიყვანეთ, თორემ დაგაზარალებთო. მაშინ ამოიღეს სია და წაიკითხეს ოთხი კაცის გვარი, რომელნიც მექვენაში გაეცათ. გავრილოვმა ჰკითხა ხალხს, სად არის შ—ეო. ხალხმა უპასუხა: არ ვიცით, სად არისო! მაინც აფრინეს ბინაზე სტრაჟნიკები და რაკი შინ ვერ ნახეს, დაიჭირეს და მოიყვანეს სახლის პატრონი, რომელმაც დიდი უბედურება გამოსცადა. ამ კაცს ლაემუქრნენ, დაგსჯით თუ არ გასცემო· მაგრამ რაც არ იცოდა, რა უნდა ეთქვა! ზოგიერთთა წყალობით, სიაში მოჰყოლიან მექვენის სამინისტრო სკოლის მასწავლებელი მ—ძე და იმის სახლიკაცი ს. მ—ძე. ამათ დასაჭერადაც გაჰგზავნეს სტრაჟნიკები, მაგრამ ისინი შინ არ დახვედრიან, სამაგიეროდ მათი მოხუცი მამები დაატუსაღეს და წაიყვანეს. მეორედ კიდევ გაჰგზავნეს სტრაჟნიკები და წაიყვანეს რ. მ—ძე. მადლობის ღირსია ალპანის საზოგადოების მამასახლისი მ. ალავიძე, რომელმაც მოთხოვნილებისათანავე წარადგინა თავისი ფული 300 მანეთი.

გადაწვა-გადაბუგვასვერ ასცდა ბელორის საზოგადოებაში თავ. ლევან დადეშქელიანისა და აზ. პლატონ ახვლედიანის სახლ-კარობა. აქ ჯარს ღამე გაეთია პ. ახვლედიანის სახლში. გადაიწვა ამ ახვლედიანის სახლი საბძელი და მარანი. დაიწვა აგრეთვე დადეშქელიანის მშვენიერი სახლი. ამ დადეშქელიანს აუარებელი საგვარეულო ნივთები დაეღუპა.

ორბელიდან პლასტუნები და ყაზახები ცაგერში გადასულიყვნენ. იქ რამდენიმე დუქნები დაიწვა.

5 თებერვალს ღამე, ასე თორმეტ საათზე მექვენიდან დავინახეთ, რომ ჰრეპალოს მხრით ცა ალისფრათ იყო განათებული. ამბობდნენ რომ ეს ჰრეპალოს დუქნებს უკიდია ცეცხლიო. **გამწარებული**

გურია. 9 თებერვალი. მკითხველო, შეგიძლია წარმოიდგინო თოვლ-ჭყაპი, ქარბუქი, სიცივე და გაყინებული ტალახი და ამ ტალახსა, სიცივესა და ქარბუქში მდგომარე ძველის ჩოხებით, მეტად მსუბუქად და ღარიბულად გამოწყობილი რამდენიმე ასი კაცი ბაირაღებითა და ხატებით, მღვდლებით და ემბაზით? ეს ხალხი იდგა დილიდან საღამოს 9 საათამდის უსმელ-უჭმელი. ამისთანა მდგომარეობაში იყვნენ გუშინ ოზურგეთის მოედანზე უქვეშევრდომილეს გრძნობის გამოსაცხადებლად და ფიცის მისაღებად. მოსული ხიდისთავლები და ბასილეთლები, ხოლო გუშინწინ ასკანელები, ამაღლებლები და ჩოხატაურლები, დღეს კიდევ სურებლები, რომელთაც, ცოტა არ იყოს, ბედი ეწიათ და მეოთხე საათზე წავიდნენ შინ. სწორედ რკინის კაცი უნდა იყო და ქვის გული გქონდეს, რომ ამათ დანახვაზე ცრემლები არ მოგადგეს თვალზე. ამოდენა ხალხი, მათ შორის 70 წლის და მეტის მოხუცნი ყავარჯენებით ხელში, იდგნენ და კანკალებდენ სიცივისაგან, მუხლები ეკეცებოდათ, თვალები ცრემლებით ევსებოდათ და მაინც იდგნენ და ელოდნენ პოლკოვნიკ კრილოვის მორბილებას და მობრძანებას. კრილოვმა შემოუთვალა, თუ კომლზე თითო თოფს მომიტანთ, ზარბაზანს რომელიც თურმე ბასილეთის საზოგადოებაში ეგულება, ყუმბარებს და ნასაკირალზე პლასტუნების თავდამსხმელთაგან სამ კაცს, მივიღებ თქვენ ფიცსაო. როგორც ზევითა ვსთქვი, დიდის ხნის-მუდარისა და ლოდინის შემდეგ კრილოვმა მოითხოვა ყველა საზოგადოებიდან თორმეტ-თორმეტი კაცი იმის თავმდებად, რომ საზოგადოებანი კისრულობენ მთავრობის მოთხოვნილებას, ე. ი. გასცემენ სამ-სამ კაცს ნასაკირალზე თავდამსხმელთაგან და აგრეთვე თოფსა და ყუმბარებს. პროპაგანდისტებს კი ჩვენ თვითონ დავიჭერთო. ასკანის „ბელადის“ ახალაძის სახლი დაარღვიეთ და ფიცრები ღარიბებს დაურიგეთო. ხალხმა ფიცი მისცა და „ურა“ დაიძახა; მუსიკამაც გააცილა შინ მიმავალი ხალხი ერთი ვერსის მანძილზე. სურებამდის 50 ვერსამდეა. ახლა გურიაში აღარ დარჩა თითქმის არც ერთი საზოგადოება ერთგულებაზე დაუფიცებელი. მაგრამ შეცდომა იქმნება იფიქროთ, რომ გურულები მშვიდობიანობას ეღირსნენ. კვალინდებურად თარეშობენ და დღე და ღამე სძარცვენ სოფლელებს. ვინც გაბედავს და მივა კრილოვთან საჩივლელად, ეუბნება, მომიყვანე ქურდი და მე ვიცი, რასაც ვუზამო.

—რაფერ უნდა დავიჭირო თოფ-იარაღიანი—მითხრა ერთმა ლატაკმა გლეხმა, რომელიც გუშინ გაძარცვეს და რომელსაც შვიდი ეთმანეთზე პატარა ბავშვი ჰყავს.—ორ მანეთ ნახევარი და 14 კაპეიკი მქონდა,—მითხრა მან თვალცრემლიანმა—და იგიც წამართვეს. ხომ უთხარი, ნუ მიგაქ, ხომ ხედავ თლა დაგლეჯილი მაცვია ყველაფერი-მეთქი, ხუთმა იქიდან-აქედან მომიშვირეს თოფები. ბატები და იხვები მომკითხეს და თვითონ მივეცი. კიდევ მადლობა ღმერთს, ქალი და ციცაი საცხა გარეთ გამოცვინდნენ და გადარჩნენ.

ერთმა მიამბო: კაზაკები რომ შემევიდნენ სახლში, ყვირილი დავაპირე და მაშვინათე ხიშტები გამოაქანეს ჩემსკენ და გავჩუმდი, თვარა დაჭირვით რაფერ დავიჭირავდიო.

ამისთანა მაგალითი ათასია. ამასთან ჯაშუშთა რიცხვიც მატულობს და მატულობს. ამეემად ოზურგეთში მცხოვრებთ მატრონე ფირცხალაიშვილს და პლატონ ბერიძის სახლში მყოფ ილია ნაკაშიძეს, რომელიც ამას წინად გამოუშვეს სატუსაღოდან, შეატყობინეს, რომ ორის საათის განმავლობაში, სახლები დასცალეთ, უნდა დავანგრიოთო. ფირცხალაიშვილი და ნაკაშიძე მიიჭრნენ კრილოვთან ამბის გასაგებად. კრილოვმა უპასუხა, რომ პლატონ ბერიძე და ფირცხალაიშვილის ვაჟი, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი, როცა ჩვენ ჯარით ნაგომარზე ვიყავით, ჩამოვიდნენ და ოზურგეთში ჩვენს წინააღმდეგ აგიტაცია გასწიესო. აი, საზიზღარ ჯაშუშთა მოქმედება! ვინც ახლა გურიის ვითარება იცის, ის ადვილად წარმოიდგენს, რომ ახლა აქ აგიტაცია კი არა, დალაპარაკებაც-კი საშიშია. ჯაშუშობა რომ გაიაფებულია, შემდეგიდანაც სჩანს. ქესტის ოსტატს ლიბერმანს, მაგალითით წაქეზებულს, წასძლია სულმა და ბატი მოიტაცა. ეს დაინახა 17 წლის ყმაწვილმა და ძალად გააშვებინა ბატი. ლიბერმანს დიდად ეწყინა, არც აცივა, არც აცხელა, მიიჭრა უფროსთან და უთხრა, ესა და ეს ყმაწვილი არის „ბუნტის თავი“ და აგიტატორიო. ამისთანა ცილის წამების წყალობით ყმაწვილი რამდენსამე დღეს საპყრობილეში იჯდა, შემდეგ ლიბერმანს შერცხვა და თითონვე გამოაშვებინა. ჯაშუშობენ მკვიდრი გურულებიც, ამასთან უფრო მტკიცედაც ჯაშუშობენ. ზოგის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. ხალხი მწარედ გაიძახის: „ვითამ რაღა დასარჩენი ვიყავით თუ ამდენი საზიზღრობა იფარავდა ჩვენში თავსაო“.

თუმცა ქალაქსაც და სოფლებსაც ფიცის დროს კრილოვმა აღუთქვა, ამას იქით ფიქრი ნუ გაქვთ, დაბრუნდით შინ ცოლ-შვილით და იცხოვრეთ, აღარავინ დაგაზარალებთო, მაგრამ საქმით არა მართლდება და ამიტომ გახიზნულნი შინ ვერ დაბრუნებულან. ნაგომარი რომ დასწვეს, გზა და გზა კიდევ რამდენსამე სოფელშიაც გადასწვეს სახლები და ამის შიშით გახიზნულთ ახლები მიემატნენ. ხალხს საშინელი შიშის ზარი დაეცა. ერთმა ქალმა ორი თვის ბავშვი სიჩქარით დიდ საბანში გაახვია და გაიქცა ამ ნაირად მირბოდა საწყალი ქალი ბავშვი-კი ხმას არ იღებდა. ქალს გაუკვირდა ბავშვის სიჩუმე და გაშალა საბანი, მაგრამ ბავშვი ვეღარა ნახა: იგი სირბილში სადღაც გამოვარდნილიყო. მკითხველს ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა საბრალო დედა! კიდევ კარგი, რომ ამ გზით სხვებიც მირბოდნენ, იპოვნეს ბავშვი და წაიყვანეს. ასეთივე საქმე დაემართა ერთ მამას, რომლის ბავშვი უფრო მოზრდილი იყო. მამამ მალე გაიგო ბავშვის გამოვარდნა საბნიდან, დაბრუნდა და იპოვნა. ასეთი ამბები აღარავის აკვირვებს. ან რა უნდა გვაკვირვებდეს, როცა ამდენი ძარცვა-გლეჯა და აკლება-დაწიოკებაა, როცა ჩვენებური, ასე გასინჯეთ, „საპატიო კაცებიც“ კი არ აკლებენ თურმე ხელს.

ამ რამდენისამე დღის წინად ნატანების სადგურზე დაატუსაღეს ბათუმის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე ჟორჟოლიანი.

არავინ იცის, რით და როგორ გათავდება ყოველივე ეს. ოზურგეთში მხოლოდ რამდენმამე ვაჭარმა დაიწყო ნამწვავებზე ვაჭრობა და ეხლა კაცი ცოტაოდენ სანოვაგეს იშოვნის.

11 თებერვალს ნავაგინის პოლკის ორი ბატალიონი ლანჩხუთსა და ჩოხატაურში გაგზავნეს სრულის საომარის წეს-რიგით და ორის ზარბაზნით. ამბობენ, ეს ჯარი იქ დარჩებაო. **დამსწრე**

ახალი ამბავი

◆ **კიდევ ცეცხლი.** როგორც აბაშიდან გვატყობინებენ, 11 თებერვალს ამ დაბაში სენაკიდან ჩამოსულა 50 ყაზახი. ამ დღესვე, საღამოს 9 საათზე, სამგან გაჩენილა ცეცხლი. გადამწვარა 30 სახლი. სამეგრელოში კიდევ სოფ. ჭკადუაში გადაუწვავთ თავ. მ. კ. დადიანის სახლი და თვითონ დადიანიც მძიმედ დაუჭრიათ.

◆ **საალყო წესები.** ფოთში საალყო წესები შემოუღიათ. როგორც გვატყობინებენ, შიშით სახლიდან გარედ ვეღარავინ გამოდის თურმე. ამის გამო დიდი ზარალი მოსდით ექსპორტერებს, რომელთაც ქალაქის თავთან ერთად გენერალ ალიხანოვის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ ამ წესების გაუქმების შესახებ.

◆ **კიდევ ტრეპოვის გამოგზავნის შესახებ.** „ვეჩ. გოლოს“-ში დაბეჭდილია: „განზრახულია გენერალი ტრეპოვი ორის ან სამის თვით კავკასიაში გამოგზავნონ. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ტრეპოვი დასასჯელ ექსპედიციით წავა. ტრეპოვს ისეთივე უფლებები ექმნება, როგორიც ბალტიის მხარეში მყოფ გენერალ ორლოვსა აქვს“. ნუ თუ გენ. ალიხანოვისა და ბაუერის შემდეგ საჭიროა კიდევ ტრეპოვის გამოგზავნა?!

◆ **ფულის გატაცება.** გუშინ, 13 თებერვალს, პეტრე დიდის ქუჩაზე (ადრე ლაბარატორნი ქუჩა), 4 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ნაფიც ვექილს გეიდენს, რომელსაც ტფილისიდან კოჯრამდე ელექტრონის გზა გაჰყავს. გეიდენს დილის 11 საათზედ სახელმწიფო ბანკიდან თხუთმეტი ათასი მანეთი გამოუტანია. ეს ფული პარკში ჩაუდვია, მცველ ლეკთან ერთად ეტლში ჩამჯდარა და ზემოხსენებულ ქუჩისკენ წასულა. გეიდენი მდგარა ოპოჩინინის სახლში, ნამესტნიკის კანცელარიის ზემოდ, გენერალ შირინკინის საცხოვრებელ სახლის გვერდით. როდესაც გეიდენს სახლის ზარი ჩამოუკრავს, დასცემიან შეიარაღებული კაცები. ერთს ბერდანა უსროლია მცველ ლეკისთვის და მძიმედ დაუჭრია, დანარჩენთ თვალის დახამხამებაზე გეიდენისთვის გამოუგლეჯიათ ხელიდან ფულით სავსე პარკი და მიმალულან. პოლიცია ფეხზე დადგა, მაგრამ მძარცველები ვერ აღმოაჩინა.

◆ **თავდასხმა.** პარასკევს, 10 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ლორისმელიქოვის ქუჩაზე, თავ. მუხრანსკის სახლში რვა შეიარაღებული კაცი შეუვარდა ექიმ მაისურიანცს. უცნობთ ზარი ჩამოუკრავთ და როცა კარი გაუღიათ, ყველანი შესულან. შემდეგ ერთს სატელეფონო მავთული ჩამოუგლეჯია, მეორეს ეზოდან შემოსავალი კარები ჩაუკეტნია და მესამე ექიმის სახლობას; ხოლო მეოთხე და მეხუთე მოსამსახურეს დსადგომია დარაჯად, დანარჩენთ ექიმისთვის ფული მოუთხოვნიათ. როგორც თვით ექიმმა გადმოგვცა, უცნობთ უთქვამთ, ფულის ყუთი პატარა ოთახში გაქვთ და გაგვიღეთო. ექიმს წაუყვანია, მაგრამ იქ 25 მან. მეტი ვერ უნახავთ. ზოგს დაუძახნია, გვატყუებს ექიმი, მოვკლათ, თუ ფული არ მოგვცაო. ექიმს 180 მანეთიანი ოქროს საათი მიუცია ამის შემდეგ უცნობნი იმავე გზით ქუჩაში ჩასულან და მიმალულან. აივანზე ექიმის სახლობა გამოსულა და ყვირილი დაუწყია. მალე მისულა პოლიციელებით მე-3 ნაწილის უბნის ზედამხედველი გუსაკოვსკი. ექიმი ჩასულა კარებთან და პოლიციელებისათვის ხმა-მაღლა დაუძახნია, არ ისროლოთ, მე, ექიმი, გიღებთ კარებსაო. სიფრთხილის გულისათვის ექიმი გვერდზე მიმდგარა და კარები ისე გაუღია. როდესაც უბნის ზედამხედველი გუსაკოვსკი შესულა, რევოლვერი უსროლია და ტყვია ექიმისთვის (ალბად მძარცველები თუ ეგონა) მარჯვენა მკლავში მოურტყამს. მალე საკომენდანტო სამართველოდან პატრული მისულა აფიცრის მეთაურობით. პატრულიდან ერთ სალდათსაც დაჭრილი ჰგონებით ქურდი და თოფი მიუმიზნებია, მაგრამ აფიცერს შეუჩერებია. აფიცერს პოლიციელი გუსაკოვსკი დაუჭერია და საკომენდანტო სამმართველოში გაუგზავნია. პოლიციელი გამოუშვევს და საქმე

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

ლუი XVI-ეს გასამართლების შემდეგ

ლუი მეთექვსმეტეს სიკვდილით დასჯამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი ევროპა აამოძრავა. თუ ევროპის მეფენი და მთავრები აქამდეც რესპუბლიკის შეურიგებელი მტრები იყვნენ, ეხლა კონვენტის ენერგიულ და გაბედულ მოქმედების შემდეგ ეს მტრული გრძნობა გაათკეცდა და არც საკვირველია: ლუი მეთექვსმეტეს თავის მოკვეთა საშინელი სილა იყო ყველა გვირგვინოსნებისათვის და უკიდურესად შეურაცხყოფილი მბრძანებელნი ევროპის აალხებისა შეერთდნენ, რომ შური ეძიათ და სამაგალითოდ დაესაჯათ გალაღებული და თავგასული რევოლიუცია. სული და გული ევროპის სახელმწიფოთა ამ კოალიციისა ინგლისის პირველი მინისტრი უილიამ პიტტი იყო. პიტს სძულდა რევოლიუცია და დემოკრატია, მაგრამ მარტო ეს მძულვარება არ ყოფილა მიზეზი, რომ ინგლისმა ასე გამოიდო თავი რევოლიუციასთან ბრძოლისათვის: საფრანგეთს ძვირფასი ახალშენები ჰქონდა და მადა-გახსნილი ინგლისელი ვაჭრები სცდილობდნენ ესარგებლნათ ევროპის ომით საფრანგეთის რესპუბლიკასთან და ეს ახალშენები ხელში ჩაეგდოთ. ამისთვის იყო, რომ უილიამ პიტტი არავითარ ღონისძიებას არ ზოგავდა, რომ კოალიციას გაემარჯვა და რესპუბლიკა მიწასთან გაესწორებია. რომელ მოკავშირესაც ფული აკლდა: ინგლისი აძლევდა, რაც საჭირო იყო, ძლიერი ფლოტი ჰყავდა ინგლისს და ამ ფლოტმა სულ ერთიან მოსპო საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობა, დაჰკეტა საფრანგეთის ყველა ნავთსადგურები. როცა რესპუბლიკის მთავრობა იძულებული შეიქმნა ქაღალდის ფული გამოეცა საფინანსო კრიზისის გამო, უილიამ პიტტმა მთელი ქარხანა გაჰმართა ყალბის ფულისა და მილიონობით ავრცელებდა საფრანგეთში, რომ მოესპო კრედიტი საფრანგეთისათვის და გაკოტრებამდე მიეყვანა იგი.

დიდი ფული დაუჯდა ინგლისს პირველი დიდი კოალიცია ევროპის სახელმწიფოებისა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მაგრამ სამაგიეროდ ეს კოალიცია საშიშარ ძალას წარმოადგენდა: ავსტრია, პრუსია, რუსეთი, გერმანიის პატარა სამთავროები, ესპანია, პორტუგალია, იტალიის სამთავროები, რომის პაპი, ერთის სიტყვით, მთელი ევროპა შეერთდა, რომ აღეგავათ პირისაგან ქვეყნისა საფრანგეთის ახალგადარეპუბლიკა. ყოველის მხრიდან მოადგა მტერი საფრანგეთს: პირინეის მთებთან ესპანიის ჯარი იდგა, ავსტრიელები და სარდინიის მეფის ჯარები სამხრეთ-დასავლეთით მოდიოდნენ, პრუსიელები და სხვა გერმანელები შუა რეინს მოადგნენ, ინგლისელები, ჰოლანდიელები და ავსტრიის ჯარის ნაწილი ბელგიის დასაპყრობად მოდიოდნენ. რაკი გარეშე მტერი ასეთის ძალებით მოდიოდა საფრანგეთზე, თავი წამოჰყვეს რესპუბლიკის შინაურმა მტრებმაც: მეფის მომხრენი დიდ აგიტაციას ეწეოდნენ ხალხის ასაჯანყებლად, განსაკუთრებით სასულიერო წოდების წარმომადგენელნი. აჯანყების ნიშნები გამოჩნდა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში—ვანდეაში. ვანდეა, საფრანგეთის სხვა ნაწილებთან შედარებით, მეტად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო: სამღვდელოებასა და თავად-აზნაურობას აქ ძველი გავლენა და ძალა სავსებით შერჩენოდა; ვანდეელი გლეხი, გაუნათლებელი და ნახევრად ველური, ბრმად მორჩილებდა თავის მოძღვარსა და ბატონს, ყოველი ამათი სიტყვა მისთვის კანონი იყო, მეფეს ღმერთივით თაყვანს სცემდა. ასეთ პირობებში ძველის წესის მომხრეებს, რასაკვირველია, არ გაუჭირდებოდათ ძლიერ უკმაყოფილების შექმნა ვანდელ გლეხებ შორის და მთელი ვანდეა მზად იყო იმ საშინელ აჯანყებისათვის, რომლის ჩაქრობასაც შემდეგში იმდენი ენერგია და ძალა მოანდომა კონვენტმა.

ყველა ამას ზედ დაერთო რესპუბლიკის უნიჭიერეს გენერლის დიუმურიეს ჯერ ორჭოფი პოლიტიკა და შემდეგ პირდაპირი ღალატი. ლუი XVI-ეს გასამართლების დროს დიუმურიე სცდილობდა მეფე დაეხსნა, მაგრამ არა გაუვიდა-რა. პატივ-მოყვარე გენერალი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და გადაწყვეტილი ჰქონდა გუნებაში რევოლიუციის მსვლელობის შეჩერება და მეფობის აღდგენა თანახმად 1791 წლის კონსტიტუციისა. სამეფო კანდიდატი თავის ჯარში ჰყავდა—შარტრის ახალგაზდა ჰერცოგი, შვილი ორლეანელ ჰერცოგისა, რომელსაც კონვენტმა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ფილიპე-ეგალიტე უწოდა. ჯერ არ იყო საჯაროდ გამოცხადებული დიუმურიეს განზრახვები, მაგრამ ბევრი წინადგრძნობდა გენერლის ღალატს და თვალყურს ადევნებდნენ მის მოქმედებასა და ქცევას.

საშინელი და საშიშარი იყო საფრანგეთის რესპუბლიკის მდგომარეობა, ხსნა არსით სჩანდა, მაგრამ კონვენტმა შეუძლებელი შესძლო, ზე-ადამიანური ძალღონე და სიმტკიცე გამოიჩინა და შინაურსა და გარეშე მტერს შიშის ზარი დასცა.

ევროპის დიდ კოალიციის შედგენის საპასუხოდ კონვენტმა დაადგინა—სამასი ათასი კაცი შეეიარაღებინა და ბრძოლის ველზე გამოეყვანა. ფრანგები ისე გატაცებული და აღფრთოვანებული იყვნენ სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით, რომ ძნელი საქმე ამოდენა ჯარის გამოწვევისა და შეიარაღებისა, შედარებით, დიდის სიადვილით შესრულდა. ყოველის მხრიდან მოდიოდნენ ახალგაზდები ჯარში ჩასაწერად; განსაკუთრებით პარიზელებმა გამოიჩინეს თავი: პარიზი იყო რევოლიუციის ნამდვილი მეთაური და სულის ჩამდგმელი, მაგრამ არც რესპუბლიკის შინაურ მტრებს ეძინათ: ნიშნები მეფის მომხრეთა შეთქმულობისა უფრო და უფრო ცხადდებოდა და აუცილებელი საჭიროება იყო ენერგიული ღონისძიება მიეღო კონვენტს მათ წინააღმდეგ. ამ საქმის ინიციატივა ისევ პარიზის ქალაქის საბჭოს ეკუთვნის: პეტიცია შეიტანა კონვენტში საგანგებო სარევოლიუციო სასამართლო დაეწესებია „ცუდ მამულის-შვილების გასასამართლებლად“. პეტიცია მიიღო კონვენტმა და ამგვარად დაარსდა ის „სარევოლიუციო სასამართლო“, რომლის როლი რევოლიუციის ისტორიაში ასე საშინელი და შემზარავი იყო, თუმცა უკიდურეს აუცილებლობით გამოწვეულიც. სასამართლო შესდგებოდა ერთის ბრალმდებლისაგან, ორის თანაშემწით, ხუთის მოსამართლისაგან და თორმეტ ნაფიც მსაჯულთაგან; სასამართლოს განაჩენი საბოლოო იყო, მისი განსაჩივრება არ შეიძლებოდა; სასამართლო ან სრულიად ამართლებდა ბრალდებულს, ან სიკვდილს მიუსჯიდა, რაც 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძიებელს გადასცეს. თავ-დამსხმელნი ვერ შეიპყრეს.

◆ **აფთიაქზე თავდასხმა.** 10 თებერვალს ელიზავეტ. და ქსენიას ქუჩების კუთხეში საღამოს 9½ საათზედ 8 შეიარაღებული კაცი თავს დასხმია კოჩინევის აფთიაქს. ერთი ეზოს კარებთან დამდგარა, ექვსი—აფთიაქის კარებთან, ხოლო ერთი აფთიაქში შესულა და რაღაც წამალი მოუთხოვია. უცნობს ერთი აბაზის წამალი უყიდნია და გამოსულა. არ გასულა ორი წამი, რომ წამლის მყიდველი უკანვე შებრუნებულა და თან 5 კაცი შეჰყოლია, ხოლო ერთი სადარაჯოდ კარში დარჩენილა. აფთიაქში ამ დროს 4 გარეშე კაცი ყოფილა. მუშაობდნენ: პროვიზორის თანაშემწე ბ-ნი ჯაში და ფარმაცევტები გვერდწითელი და ცერგვილაძე. რამდენსამე ყაჩაღს ამოუღიათ რევოლვერები და იქ მყოფთ თავზე დასდგომიან, დანარჩენნი შესდგომიან ჩხრეკას. ჯაშისათვის წაურთმევიათ ფულად 25 მან. და საათი, კასიდან ამოუღიათ 45 მან., გვერდწითლისათვის წაურთმევიათ ფულად 12 მან. და საათი. შემდეგ მძარცველთ უთქვამთ: ვიდრე არ მივიმალებით, არ გაჰბედოთ ხმის ამოღებაო, და გაქცეულან. ეს ამბავი იქვე მდგომ პოლიციის უმცროს მოხელეისათვის შეუტყობინებიათ. მოსულა უბნის ზედამხედველი პოლიციის მე-9 ნაწილისა, მაგრამ იმ წამსვე უკან გაბრუნებულა ამ სიტყვებით: მე პოლიციის მე-9 ნაწილში ვმსახურებ, ხოლო ეს უბანი მე-10 ნაწილშია; ამიტომ მე-10 ნაწილის ბოქაულს აცნობეთო.

◆ **გაჩხრეკა.** კვირას, 12 თებერვალს შუაბაზარში დაიწყო ჩხრეკა, მე-5-ე საპოლიციო უბნის ბოქაულის ზედამხედველობით და მეთაურობით. გაჩხრიკეს ნახევარი შუაბაზარი.

◆ **საბჭოს კრებები.** გუბერნატორმა აცნობა მოურავს, რომ ამიერიდან საბჭოს კრებები შეგიძლიანთ საჯაროთ გახადოთ და აღარ აიღოთ ყოველთვის ნებართვა გენერალ გუბერნატორისაგან. მხოლოდ საბჭომ უნდა გაუგზავნოს ხოლმე იმ საქმეების სია, რომელიც მოსასმენად არის დანიშნულიო.

◆ **ქართული წარმოდგენები.** კვირას, 12 თებერვალს, დასრულდა სეზონი ქართულ წარმოდგენებისა. 11 თებერვალს „ჰამლეტის“ წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მოულოდნელ ავადმყოფობის გამო მეორე მოქმედების შემდეგ შესწყდა. 12 თებერვლისთვის დანიშნული იყო ალექსი მესხიშვილის ბენეფისი, მაგრამ რადგან მობენეფისე ავად იყო, ჩვეულებრივი წარმოდგენა გაიმართა. ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **ყალბი ბილეთები.** ამ რამდენიმე დღის წინად ბაქოში მიმავალ სახალხო მატარებელში კონტროლიორმა და ობერკონდუქტორმა გაბუჩიამ აღმოაჩინეს რამდენიმე ბილეთი ტფილისიდან რუსეთის ქალაქებში წასასვლელი მეორე და პირველ კლასისა. ეს ბილეთები ერთხელ უკვე იყო ნამგზავრი. როდესაც გამოჰკითხეს, მგზავრებმა განაცხადეს, ბილეთები ტფილისის პირველ კლასის ბუფეტში ვიყიდეთო. ზოგი დამტარებელს მიეყიდნა, ზოგიც უცნობ კაცს. შტემპელები ამ ბილეთებზე ტფილისის სადგურისაა. ამის გამო გამოძიება სწარმოებს. 13 თებერვალს მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ამ გვარ ბილეთებს მეორე მხარეს ობერ კონდუქტორმა ქიმიურის კარანდაშით თავისი გვარი დააწეროს.

◆ **ჩამოსული სომხები.** ამ დღეებში განჯის გუბერნიიდან ტფილისში ჩამოვიდა 200 სომეხი, რომელნიც, როგორც თვითონ ამბობენ, ნამესტნიკის ნახვას აპირობენ.

◆ **შტატის შემცირება.** როგორც გავიგეთ, უსახსრობისა გამო შემცირებულ იქნება ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორის შტატი. ამ ჟამად მსახურებს 35 კაცი, დარჩება 12 კაცი,

◆ **ახალი საზღვაო სადგური.** რადგან ფოთში მეტად საჭიროა საზღვაო სადგურის აგება, ამიტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ სთხოვა სამინისტროს, რაც შეიძლება ეს საკითხი საჩქაროდ გადასწყვიტეთო.

◆ **მკვლელობა.** შაბათს, 11 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზედ, პოლიციის ქუჩაში, თავის სახლის წინ, მოჰკლეს მაღაზიისა და საკაზმავ სახელოსნოს პატრონი აბრამ აკოფოვი. ამ დროს აკოფოვი შინ დაბრუნებულა. როცა კარებთან მისულა, უკანიდან ვიღაცას რევოლვერი უსროლია და იქვე მოუკლავს. მკვლელი ისე მიიმალა, რომ იმისი ვერც ასავალი იპოვნეს, ვერც დასავალი. მიზეზი მკვლელობისა არ არის გამორკვეული.

◆ **ახალი გაზეთი.** როგორც ამბობენ, 24 თებერვალს, ნ. ი. თამამშევის რედაქტორობით გამოვა ახალი რუსული გაზეთი „ვპერიოდ“ (წინ).

◆ **საარჩევნო სიები.** ამიერ-კავკასიის რკინის გზა შეეკითხა სამინისტროს საარჩევნო სიების შესახებ. გამგეობამ მოსწერა, როგორ მოვიქცეთ: ჩვენ შევადგინოთ მოსამსახურეთა საარჩევნო სიები (სახელმწიფო სათათბიროში), თუ თვითონ, ვისაც სურს, შეადგენენ და, სადაც ჯერ არს, წარადგენენო.

◆ **შტაბის უფროსის მოსვლა.** 12 თებერვალს პეტერბურგიდან ბაქოს ჩავიდა კავკასიის სამხედრო შტაბის ახალი უფროსი გენერალი შატილოვი. დღეს, 14 თებერვალს, შატილოვი ტფილისში ჩამოვა.

◆ **გაზეთის გამოცემის ნებართვა.** ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელს ბ-ნ ს. იაშვილს ნება დაერთო გამოსცეს ქართული ყოველ დღიური გაზეთი „ახალთაობა“.

◆ **სწავლის განახლება.** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ყველა კლასში 15 თებერვლიდან სწავლა ახლდება.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის მაევსკის სიკვდილის საქმე გამოირკვა. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, მაევსკის თავი კი არ მოუკლავს, არამედ მოუკლავთ. მკვლელი გვარად გალდიაშინი ყოფილა. თვით მკვლელი ვერ შეიპყრეს, დააპატიმრეს მხოლოდ გალდიაშინის საყვარელი.

◆ მისადგომი სადგურები იმართება გლდანისა, ბამბაკსა და ავჭალაში, პირველ ორ სადგურზე ქვის გამოსაზიდი, ხოლო უკანასკნელზე წყლის საყვანის მოსაწესრიგებლად.

◆ კვირას, 12 თებერვალს, ჯარმა შუა ბაზარში გაჩხრიკა ნარიმანოვის ფეხსაცმელების მაღაზია და საწყობი.

◆ დაიბეჭდა და უკვე იყიდება ახალი წიგნი „ჩვენი მიზანი“ ლიბკნეხტისა და ბებელისა.

◆ 11 დეკემბრისათვის საბჭოს დარბაზში დანიშნული იყო ტფ. ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების გამგეობის კრება. კრება მეხუთედ იყო დანიშნული, მაგრამ მაინც არ შესდგა.

◆ ტყუილი გამოდგა ხმა სურამის მღვდლის ბებიაშვილის შეპყრობის შესახებ: მღვ. ბებიაშვილი არავის არ შეუპყრია.

◆ შაბათს, 11 თებერვალს, მიხეილის პროსპექტზე, ვიღაც უცნობმა დასჭრა იმამოვის ფქვილის საწყობის კანტორაში მოსამსახურე ალასკერ-ალიბეგ-ოღლი იმამოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. ფოილო. 13 თებერვალს მატარებელი დაეჯახა ორ ცისტერნის ვაგონს, რომელნიც მოწყვეტილიყვნენ საქონლის მატარებელს და შეუმჩნევლად დარჩენილიყვნენ ლიანდაგზე. ორი ცისტერნის ვაგონი დაიმტვრა. სახალხო მატარებელში არავინ დაშავებულა, მხოლოდ რამდენისამე საათით შეჩერდა მოძრაობა.

◆ სად. ალიათი. 12 იანვარს მანევრების დროს ლიანდაგს გადასცდა ორთქლმავალი და ერთი ვაგონი.

◆ სად. ერევანი. დილის 8 საათზე 10 თებერვალს მატარებელს № 337 უბედურება შეემთხვა მე-8 ვერსზე. ვაგონი მოსწყდა მატარებელს და გადასცდა ლიანდაგს. მას სხვა ვაგონები დაეჯახა, დაიმტვრა ექვსი ვაგონი. დაშავდა სამი ტორმოზის კანდუქტორი და ერთი უფროსი მუშა.

◆ სად. ბათუმი. 10 თებერვალს დილით მანევრების დროს ორთქლმავალის ქვეშ ჩავარდა ჯარის კაცი ლავრენტი სტრაჟევსკი და ხელი და ფეხი მოსწყდა.

◆ სად. შორაპანი. 10 თებერვალს, როდესაც მატარებელი № 22 სადგურში შედიოდა, ვაგონები გადასცდა ლიანდაგს. ამ დროს დაშავდა კონდუქტორი ივანე ჯაფარიძე.

◆ სად. ბაქო. 9 თებერვალს მანევრების დროს ნატალია ნაზაროვისა ერთის მხრიდან მეორეზე გადადიოდა, მაგრამ მატარებლის ქვეშ ჩავარდა და გაისრისა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 11 თებერვალი. სახალხო უნივერსიტეტების დამაარსებელ საზოგადოების დეპუტაციას დურნოვომ უთხრა, პოლიცია უნივერსიტეტების საქმეებში არ ჩაერევა, თუ იქ პოლიტიკური მიტინგები და პროპაგანდა არ გაჩაღდებაო.

◆ მაქსიმ გორკი ამერიკაში მიემგზავრება

◆ სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა 200 საზღვაო ოფიცერი, რადგან გემები აღარ არის.

◆ საპატიმროთა უმთავრეს მმართველობის ცნობებით, ამ ჟამად რუსეთის ყველა საპატიმროში 72 ათასი პოლიტიკური ტუსაღია; მმართველობას 17 გუბერნატორისაგან მოსვლია მოხსენება, ადგილობრივ საპატიმროებში ალაგი აღარ არის პოლიტიკურ ტუსაღთათვისო.

◆ ფლოტის აფიცრებს და კამანდებს, რომელნიც ბალტიის მხარესა და ამიერ-კავკასიაში იგზავნებიან „მშვიდობიანობის დასამყარებლად“, ჯამაგირი მიეცემათ საომარ დროის წესების მიხედვით.

◆ პარიზიდან იტყობინებიან, რომ იქაურ ფინანსიურ წრეებში მღ. გაპონი ნიადაგს ამზადებს რუსეთის სესხისათვის. გაზეთები გაპონს ვიტტეს აგენტად სთვლიან.

ქუთაისის ამბები

◆ 2 თებერვალს ქალაქის თავმა ა. დ. ლორთქიფანიძემ სხვა და სხვა საქმეებისა გამო სათათბიროდ მოიწვია საბჭოს ხმოსნები. კრება დილის 12 საათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ნაშუადღევის 2 საათამდე 6—7 ხმოსანმა ძლივს მოიყარა თავი, რის გამო კრება აღარ შესდგა. გასაკვირველია სწორედ ჩვენის მამების საქმე! ორი სამი თვე ქალაქის საბჭოს კრებები არ იმართება და ხმოსნები ეხლაც არ იკრიბებიან. გულშემატკივრობაც ასეთი უნდა!

◆ ქალაქის დასაცავად ვაჭრების ხარჯით დაქირავებული რაზმი საქმეს 6 თებერვლიდან შეუდგა. ჯერ-ჯერობით ორმოცი კაცია. მომეტებული ნაწილი ჩვენებურები არიან. ჯამაგირი თითოს თვეში 25 მანეთი აქვს. დარაჯები ბერდანის თოფებით არიან შეიარაღებულნი.

◆ ამ რამდენისამე კვირის წინად დაპატიმრებული ქ-ნი ქიქოძისა, კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, 8 თებერვალს გაანთავისუფლეს თავდებობით. ქიქოძისას თან ძუძუთა ბავშვი ჰყავდა.

◆ 5 თებერვალს საფიჩხიაში თავის ბინაზე მოჰკლეს ამავე უბნის მცხოვრები კვიმსაძე. ხელობით იგი მესაფლავე იყო და მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა.

◆ ქუთათური ვაჭრები მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიან. მაღაზიები ცარიელი აქვთ და საქონლის შემოტანა კი ვერავის გაუბედნია. დილ-დილაობით გასასყიდი საქონელი ზოგს იდლიით მიაქვს, ზოგს ეტლით და ზოგსაც დაქირავებული მუშით. საღამომდის აქვთ დუქნებში და საღამოს კი ამავე წესით უკან მიაქვთ, ასე რომ ქუთაისის აღებ-მიცემობის საქმის თავის კალაპოტში ჩადგომას კიდევ კარგა ხანი დასჭირდება.

◆ როგორც ამბობენ, სიმინეთ-ჩხარისკენ ამ დღეებში ჯარის გაგზავნას აპირობენ.

◆ ქუთაისის ქუჩებში დილ-დილაობით ზარბაზნებსა და ტყვიის-მტყორცნელებს აატარ-ჩამოატარებენ ხოლმე.

◆ ქუთაისში თავი მოიყარეს სხვა და სხვა დამზღვევ საზოგადოების ინსპექტორებმა. მიზეზი კრებისა ცეცხლისაგან მიყენებულ ზარალის გამოკვლევაა.

◆ ამ ორიოდე დღის წინად ზუგდიდიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს ორი პატიმარი ქალი—ორივე მასწავლებლად ყოფილა ზუგდიდში.

რუსეთი

მინისტრების სამსახურიდან გადადგომა. დეპეშებიდან მკითხველმა უკვე იცის, რომ მინისტრთა საბჭოს წევრებს შორის ძირითად საკითხების გამო დიდი უთანხმოებაა, ამიტომ კუტლერი და ტიმირიაზევი სამსახურიდან გადადგნენ. ეხლა, როგორც გაზეთებიდანა სჩანს, ამათთან ერთად გრ. ვიტტეც ფიქრობდა თურმე სამსახურიდან გასვლას და თხოვნაც შეუტანია ამის შესახებ, მაგრამ ხელმწიფეს არ მიუღია.

პატიმართა რაოდენობა რუსეთში. შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს გამოიკვლიოს პოლიტიკურ საქმეების გამო დაპატიმრებულთა რაოდენობა და მოსთხოვა გუბერნატორებს საჭირო ცნობები. ამ საქმის გამორკვევა იმან გამოიწვია, რომ საპყრობილეები ძალზე სავსეა ხალხით და ადგილი აღარ აქვთ.

მომავალ დეპუტატების დაპატიმრება. ამ ორი კვირის წინად ვიტებსკში დაუპატიმრებიათ და პეტერბურგს გაუგზავნიათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნაფიცი ვექილი კრონბერგი, რომელსაც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად უპირებდნენ არჩევას. კრონბერგი არხანგელსკის გუბერნიაში გაუგზავნიათ 5 წლით.

ლიბავიდან გაუგზავნიათ და პრიბალტიის მხარეში ცხოვრება აუკრძალავთ ადგილობრივ მოღვაწის ნაფიც ვექილის ზანდბერგისთვის. ესეც მომავალი დეპუტატი იყო

ქ. ნიკოლაევში დაუპატიმრებიათ პროკურორად ნამყოფი და დამსახურებული საზოგადო მოღვაწე სტატსკი სოვეტნიკი კოსიაკოვი. კოსიაკოვი რამდენჯერმე ქალაქის თავად ამოურჩევიათ, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე. ამ კაცსაც მომავალ დეპუტატად სთვლიდნენ, მაგრამ ეხლა ციხეში უკრეს თავი.

პრიბალტიის მხარე. გაზ. „რიჟ. ვედ“-ში შემდეგი ამბავია აწერილი: „გენერალ ორლოვის საექსპედიციო რაზმმა გუშინ დახვრიტა ერთი ადგილობრივი გლეხი რევოლიუციონერი. დასახვრეტად გამზადებული მიაკრეს ფიჭვზე, თავზე პარკი ჩამოახურეს და ამის შემდეგ 12 სალდათმა ორჯერ „ზალპი“ მისცა. დახვრეტას დაესწრო დედ-მამა. ამის შემდეგ ორი ლატიშელი გლეხი მიიყვანეს და როზგებით სცემეს; პირველს დაარტყეს 50 როზგი; მეორეს 70. 16 იანვარს ტყეში დახვრიტეს 4 რევოლიუციონერი. ზინცერბერგის გარშემო დახვრიტეს 11 რევოლიუციონერი. ამას გარდა როზგებით სცემეს რამდენსამე კაცს, ორ ქალს, რომელთაც სარევოლიუციო დროშის შეკერვას აბრალებდნენ.“ ამავე გაზეთის ცნობებიდანა სჩანს, რა როლს თამაშობენ ადგილობრივი მემამულენი. „ერთ მშვენიერ დღეს პეტერბურგიდან მოვიდა ბარონ მედემის შვილი სალდათებით. ამან ჰკითხა მსახურებს, გაქვსთ თუ არა იარაღიო. მსახურებმა უპასუხეს, არა გვაქვსო. მაშინ მედემმა უბრძანა სახლის გაჩხრეკა. გაჩხრეკის დროს ერთ მსახურს უპოვნეს ერთი თოფი. ამის შემდეგ შვიდი კაცი გაიყვანეს გარედ და იქ 5 იმათგანი დახვრიტეს, ორს სცემეს.“ იქვე სწერია, რომ ადგილობრივმა ვოლოსტის მმართველობამ მიიღო გაფრთხილება, რომ, თუ მამულში რამე დანაშაულს ჩაიდენს ვინმე, ყველა გლეხების სახლ-კარს გადასწვავენ 10 ვერსის მანძილზე; „თუ მამულში ვისმე თავს დაესხმიან, მოუწერიათ ვოლოსტის გამგეობაში:—„ან თუ მამულს ცეცხლს ვინმე წაუკიდებს, მაშინ ვოლოსტში ყოველ 5 კაცში ერთს დახვრეტენ“. ამაზედ შორს წასვლა შეუძლებელია! დასძენს ამ ცნობებს გაზ. „რუს. ვედ.“... მე მგონია, ესეთი ამბები იოანნე მრისხანის ჯალათებსაც-კი არ უნახავთ სიზმარშიო.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 თებერვალი

ვილნო, 10 თებერვალი. ზალკინდის მაღაზიაში შეიჭრა 7 შეიარაღებული კაცი და 500 მან. მოითხოვეს. მეკარეს ყვირილზე ბოროტ-გამზრახველებმა რევოლვერები დასცალეს, დასჭრეს ერთი მოხუცებული ქალი, ერთიც ახალგაზრდა ქალიშვილი. ბოროტ-გამზრახველებმა წაიღეს 60 მან. და მიიმალნენ.

მელბურნი. ფილიპებზე აჯანყების აფეთქების ეშინიათ. ფიქრობენ, რომ ამერიკელები იძულებული იქნებიან ან ავტონომია მისცენ, ან არა და ომი აუტეხონ აჯანყების ჩასაქრობად.

ბელოსტოკი. გაფიცულმა მუშებმა გაიგეს, რომ მათ ადმინისტრაცია გადასახლებას უპირობს და ამიტომ მუშაობას იწყებენ.

ტაშკენტი. თურქესტანის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა კუშკინსკი ციხის კომენდანტის მოკვლის გამზრახველ მერვის სადგურის დეპოს მუშას სტრუნინს, მაგრამ რადგანაც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებანი აქვს ხელში სასამართლოს, ამიტომ მან დაადგინა იშუამდგომლოს ჩამოხრჩობის შეცვლაზე სამუდამო კატორგით.

სოსნოვიცი. ერთს სოფელში მოჰკლეს საერობო დარაჯი პოკროვსკი, დასჭრეს ორი მისი ამხანაგი.

ვილნო. ვილნოს გუბერნიის რამდენიმე მაზრაში აგრარულმა მოძრაობამ იფეთქა ამას წინად, მაგრამ ამ ჟამად ყველგან მომსპარია იგი.

11 თებერვალი

სევასტოპოლი. ორი უცნობი ქუჩაში თავს დაესხა ბოქაულ ზელინსკის, რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს ხანჯლით და რევოლვერებით და მიიმალნენ.

კოპენჰაგენი. ისლანდიის მინისტრმა აუწყა, რომ არავითარი აგიტაცია არაა ისლანდიაში კუნძულის მეტროპოლიიდან გამოყოფის შესახებო.

ვენა. თანახმად საარჩევნო კანონისა დეპუტატთა რიცხვი უნდა იყოს 455 კაცი; 230 სლავიანინი, 205 გერმანელი და 20 რუმინი.

კიევი. მოისპო ის განკარგულება, რომლის ძალით სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება არა ჰქონდათ კათოლიკებსა და იმ მართლმადა-

---

საათში უნდა ასრულებულიყო, სხვა სასჯელი არ იყო მის განკარგულებაში. შეუბრალებლად მოქმედებდა სარევოლიუციო სასამართლო, ბევრი სისხლი დაღვარა, ხშირად უდანაშაულოც, როლი მისი, ვიმეორებთ, საშინელი და შემზარავი იყო, მაგრამ თავის მთავარი დანიშნულება სავსებით შეასრულა: რესპუბლიკის მტრები და მოღალატენი იქამდე მიიყვანა, რომ სულის დაბერვას ვერ ჰბედავდნენ, სანამ შემდეგში ახალი დარი არ დაუდგათ.

მაგრამ სანამ კონვენტის ენერგიული ღონისძიებანი თავის ნაყოფს მოიტანდნენ, რესპუბლიკის საქმე ცუდათ მიდიოდა. გენერალი დიუმურიე, რომელიც ჯერ კიდევ არ შესდგომოდა თავის ფარულ განზრახვების პირდაპირ ასრულებას, ბელგიიდან ჰოლანდიაში გადავიდა თავის ჯარით. ჰოლანდიელები უფრო კარგად შეხვდნენ რესპუბლიკის ჯარს, ვიდრე ბელგიელები და მადლიერი იყვნენ დიუმურიესი, რომ მთავრის მძიმე უღლისაგან განთავისუფლდა ჰოლანდია, მაგრამ ამ დროს ავსტრიის ჯარი ბელგიაში შევიდა და დაამარცხა იქ დაბანაკებული ნაწილი დიუმურიეს ჯარისა. დიუმურიე იძულებული გახდა ჰოლანდიიდან ისევ ბელგიაში დაბრუნებულიყო და გამარჯვებულ ავსტრიელებისათვის პასუხი გაეცა. ავსტრიელებს უფროსობდა მეტად ნიჭიერი მხედართმთავარი ახალგაზდა ერცჰერცოგი კარლი. დიუმურიე სასტიკად დამარცხდა და თავის ჯარით ბელგიის საზღვრებიდან გავიდა. სწორედ ამ დამარცხების შემდეგ მოიხადა ნიღაბი გენერალმა, და მუქარის წერილი გაუგზავნა კონვენტს. თან ავსტრიელებთან მოლაპარაკება გაჰმართა შერიგებაზე: დიუმურიეს განზრახვა ჰქონდა პირდაპირ პარიზზე წასულიყო ჯარით და რევოლიუციისთვის ლაგამი ამოედო. „კონვენტი 200 ყაჩაღისა და 600 სულელისაგან შესდგებაო,“ აშკარად ამბობდა გალაღებული გენერალი. კონვენტმა სამი კომისარი და სამხედრო მინისტრი გაგზავნა დიუმურიეს ჯარში, რომ გენერალი პარიზში მოეწვიათ თავის გასამართლებლად და თუ ამაზე უარს იტყოდა, გადაეყენებინათ იგი ჯარის უფროსობისაგან. კომისარები რომ ჯარში მივიდნენ, დიუმურიე იმდენად შეთანხმებულიყო ავსტრიელებთან, რომ თავის მცველებად ავსტრიელი ჰუსარები ჰყავდა. გენერალი არ დაემორჩილა, რასაკვირველია, კონვენტის დადგენილებას და კომისარებს ზურგი შეაქცია. კონვენტის წარმომადგენელნი შტაბში მივიდნენ და ერთხელ კიდევ იქ აფიცრებ შუა ჰკითხეს გენერალს, გსურს თუ არა დაემორჩილო კონვენტსო. არაო, უპასუხა დიუმურიემ. „მაშ თქვენ გადაყენებული ხართ, თქვენი ქაღალდები დაიბეჭდება და თქვენც დატუსაღებული იქნებით“-ო, უთხრეს კომისარებმა. ეს კი ნამეტანი არისო, წამოიძახა დიუმურიემ, დააჭერინა კომისარები ჰუსარებს და ავსტრიის ჯარში გაგზავნა ტყვეებად. დიუმურიე დარწმუნებული იყო, რომ ჯარი მის მხარეზე იქნებოდა, მაგრამ მოსტყუვდა: ჯარი ისე აღშფოთებული იყო რომ მოღალატე გენერალი სიკვდილს ძლივს გადარჩა და თავის ჰუსარებით ავსტრიელებთან გაიქცა; მას თან გაჰყვა შარტრის ჰერცოგიც. დიუმურიეს კიდევ იმედი ჰქონდა, რომ დიდ როლს ითამაშებდა საფრანგეთის საქმეებში, მაგრამ აქაც გაუმტყუნდა იმედები: იგი ვერ მიხვდა, რომ ავსტრიელები თუ დახმარებას ჰპირდებოდნენ წინად, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალა ჰქონდა ხელში—ჯარის უფროსი იყო; ისე კი დევნილი გენერალი ვისთვის რა საინტერესო იყო. დიუმურიემ დიდხანს იცოცხლა კიდევ, მაგრამ იგი ყველასაგან მივიწყებული და პატივახდილი იყო; რესპუბლიკისა და სამშობლოს ღალატმა მხოლოდ ეს შესძინა პატივმოყვარე გენერალს.

ბელგიაში გამარჯვებულ ავსტრიელების ჯარს ინგლისელებიც შეუერთდნენ და ეს დიდი სამხედრო ძალა მოადგა საფრანგეთის ჩრდილოეთ საზღვრებს. საფრანგეთის ჯარს დიუმურიეს შემდეგ გენერალი დამპიერი უფროსობდა, მაგრამ იგი მალე მოჰკლეს და მისი ადგილი დაიკავა გენერალ კიუსტინმა, რომელიც წინად შუა რეინზე მოქმედებდა ისე უხერხულად. აქაც ვერ გამოიჩინა თავი გენერალმა: სიმაგრეებს შეაფარა თავი, მაგრამ მალედაამარცხეს და სიმაგრეები წაართვეს. კონვენტმა სიკვდილით დასაჯა კიუსტინი: რესპუბლიკის ჯარის სარდალმა ან თავი უნდა შეაკლას მტერს ან გაიმარჯვოსო, გადაწყვეტილი ჰქონდათ საფრანგეთის ერის წარმომადგენლებს. რესპუბლიკის ბედი იყო კიდევ, რომ მტრის ჯარს უნიჭო და ძველის სკოლის უფროსები ჰყავდა; ერც-ჰერცოგი კარლი აღარ იყო ჯარში და ამიტომაც მტრებმა ვერ ისარგებლეს თავიანთ უპირატესობით: მეტად ზანტად მოქმედებდნენ და დრო მისცეს კონვენტს ძალის შემოკრებისა. მაგრამ ეს ძალა საჭირო შეიქნა არა მარტო გარეშე მტრის მოსაგერებლად: ვანდეა აჯანყდა და დაიწყო შეუბრალებელი შინაური ომიანობა.

ვანდეელები მტრულად დახვდნენ კონვენტის კომისარებს, რომელნიც ჯარის კაცების გასაწვევად იყვნენ აქეთ-იქით გაგზავნილები; ვანდეა სრულიად არ იყო მოწადინებული რესპუბლიკის გულისათვის სისხლი დაეღვარა; პირიქით, იგი მომზადებული იყო შებრძოლებოდა თვითონ რესპუბლიკას, რომ აღედგინა მეფობა და მთელი ძველი წესწყობილება. ერთ სოფელში მოჰკლეს კიდეც რესპუბლიკის აფიცერი და აჯანყების ცეცხლიც დაინთო. სადაც-კი მოასწრეს რესპუბლიკის პატარა რაზმებს, სულ ამოჟლიტეს. შინაური ომიანობა ყველგან და ყოველთვის შეუბრალებელი ყოფილა, მაგრამ ვანდეელებმა ყველას გადააჭარბეს. აჯანყებულებს ნიჭიერი ხელმძღვანელებიც გაუჩნდნენ; ფულს უილიამ პიტტი იძლეოდა და აჯანყების საქმე კარგად მოეწყო; პირველ ხანებში იგი თითქმის მუდამ გამარჯვებული იყო. მეფე და კათოლიკე ეკლესიაო, ეწერა ვანდეელების დროშაზე და თავგანწირულად იბრძოდნენ, არავის და არაფერს ინდობდნენ, რომ თავისი გაეტანათ. რასაკვირველია, არც კონვენტი ერიდებოდა შეუბრალებლობასა და სიმკაცრეს: ყოველი მღვდელი და წარჩინებულ წოდების კაცი რომელიც-კი რაიმე მონაწილეობას იღებდა ვანდეის საქმეში, კანონის გარეშე გამოაცხადეს... ე. ი. ყველას შეეძლო მათი მოკვლა დაუსჯელად, ვინც-კი წარჩინებულ წოდებას ეკუთვნოდა, იარაღი უნდა აეყარათ; ვინც-კი ამათგანი საზღვარ-გარეთ იყო წასული, საუკუნო გაძევება გადაუწყვიტეს და, თუ ვინმე დაბრუნდებოდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. კაცთ-მოყვარეობა, ჰუმანიური გრძნობა არა სჩანს კონვენტის ასეთ მოქმედებაში, მაგრამ სხვა გზა რომ არ იყო? კონვენტს ორში ერთი უნდა ექნა—ან რესპუბლიკა გაეწირა ან დაეხსნა იგი, რაც არ უნდა დაჯდომოდა და რა ღონისძიებაც არ დასჭირებოდა.

გ. ლ.

დებულთ, რომელიც პოლონელ ქალებზე იქნებოდნენ ჯვარ დაწერილნი.

კურსკი. გაზეთი „კურსკია ზაპისკი“ იუწყება, 8 თებერვალს შეიპყრეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სუჯანის საერობო გამგეობის თავმჯდომარე პეტრე დოლგორუკოვი.

ვენა. პრემიერმა გაუჩმა წარუდგინა პარლამენტს კანონ-პროექტი საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ რეიხსტაგის წევრების არჩევის დროს. გაუჩმა სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა, თუ რითი ხელმძღვანელობდა მთავრობა ამ კანონის შემუშავებაში. ახალ კანონპროექტით ხმის მიცემა იქნება საყოველთაო, პირდაპირი და ფარული. აღნიშნულია აგრეთვე, რომ დაცულ იქნან ის ერები, რომელნიც არეულ მცხოვრებლებთან ადგილებში უმცირესობას შეადგენენ. მთავრობას განზრახული აქვს, რაც შეიძლება, ჩქარა გაიყვანოს ეს კანონპროექტი. პრემიერის სიტყვის შემდეგ სხდომა დახურულ იქნა ნიშნად ძლიერ საყურადღებო და არა ჩვეულებრივ პოლიტიკურ მნიშვნელობისა. გაუჩმა განაცხადა, რომ წინანდელი საფუძველით არჩეულ პალატას არავითარი საშუალება არ გააჩნდა ობსტრუქციის წინააღმდეგ საბრძოლველად და მთავრობა იძულებული გახდა ახალი წესები შემოეღო.

რიგა. დრეილინის ვოლოსტის სამმართველოში შეცვივდნენ შეიარაღებული პირები, გაამტვრიეს რკინის შკაფი და წაიღეს ფასიანი ქაღალდები 15000 მან. ღირებული, 50 მან. ნაღდი ფული, ბევრი საპასპორტო ბლანკი, წიგნაკები და ვოლოსტის ბეჭედი.

მოსკოვი. 17 ოქტომბრის პარტიამ შეიმუშავა რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს, მინისტრთა საბჭო ძლიერ აგვიანებს 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველში დადებულ პრინციპების გაყვანას ცხოვრებაში და ავიწროებს კიდეც მათ. ერთად ერთი, რაც სახელმწიფოს გამგეობის საქმეს უშველის — ეს სახელმწიფო სათათბიროს, რაც შეიძლება ჩქარა, მოწვევაა. საჭიროა მთავრობამ ეხლავე განაცხადოს ვადა სათათბიროს მოწვევისა, რაც უნდა მოხდეს, არა უგვიანეს 25 აპრილისა. ამ რეზოლიუციას მთავრობას არ წარუდგენენ. იგი გადაიცემა საზოგადოებრივ აზრის მსჯავრის დასადებათ.

პეტერბურგი. „ნოვოსტი“-ს აცნობებენ, რომ სამხედრო მინისტრ რედიგერის წასვლას სამსახურიდან შეკავშირებულია მისს აზრთან ფინლიანდიის მდგომარეობის შესახებ. რედიგერის აზრით ფინლიანდელების წინააღმდეგ არ უნდა იქნას ხმარებულთ რეპრესიული ზომები, თორემ ფინლიანდია გადაეკიდება რუსეთს და საქმე იქამდე გამწვავდება, რომ იგი ხელახლა დასაპყრობი გახდება, რაც ძლიერ ძნელია ფინნების პატრიოტიზმისა და ადგილების პირობების გამო. ამგვარი შეხედულობა არ აკმაყოფილებს უმაღლესს წრეებს, რასაც შედეგად რედიგერის გასვლა მოჰყვება ალბათ სამსახურიდან.

„სლოვო“ იუწყება, რომ ტიმირიაზევი არ გადის სამსახურიდანო.

შანხაი. ჩინეთს განზრახვა აქვს ტიბეტი თავის პროვინციათ გადააკეთოს და მეფის თანაშემწე დანიშნოს იქ.

სტამბოლი. სომხებს აუარებელი ბომბები უპოვნეს. აღმოაჩინეს შეთქმულობა, მიმართული სულთანის წინააღმდეგ.

ბელოსტოკი. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობითა და ჟანდარმთა და პოლიციელთა თანადასწრებით სჯა-ბაასია გამართული რევოლიუციონურ პროპაგანდის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

ვარშავა. სამს ადგილას დაეცნენ ქუჩებში შეიარაღებულები. მოჰკლეს ორი მოურავი სახლებისა. მკვლელები დაიჭირეს. მოჰკლეს მეფურნე, მაგრამ მკვლელი ვერ შეიპყრეს.

სიმფეროპოლი. შავ-ზღვაზე დაიღუპა უცხოელი გემი „რებეკკა“. არ იციან, რა მოუვიდათ მეზღვაურებს.

მიტავა. დონდანგენის ვოლოსტში დაიჭირეს 53 კაცი და მიტავაში გაჰგზავნეს.

ვილნო. „ნოვაია ზარია“ იუწყება, ლიბავა-რომნის გზაზე აუარებელ ხალხს ითხოვენ პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობისათვის.

12 თებერვალი.

პეტერბურგი. „რუსკოე გოსუდარსტვო“-ს ცნობაა, რომ მთავრობა იძულებული იქნება ფინანსიურ კრიზისის თავიდან ასაცილებლათ უკიდურეს ზომებს მიმართოს, შეეხება მთავრობის გადაწყვეტილებას მიჰყიდოს უმეტესი ნაწილი სახელმწიფო რკინის გზებისა უცხოელ კაპიტალისტებს.

ბუდაპეშტი. მეფის რწმუნებული კომისარი შევიდა მუნიციპალურ კომიტეტის სხდომაზე პოლიციელების თანხლებით და წაიკითხა მეფის რესკრიპტი, რომლის ძალით მას სრული უფლება ეძლევა ბატონობისა უნგრეთის სატახტო ქალაქის მუნიციპალურ მართვა-გამგეობის საქმეში. მას ნება აქვს გადააყენოს თანამდებობიდან ყველა სამსახურას პირი და ხელში ჩაიგდოს მუნიციპალურ საქმეების მართვა-გამგეობა. სხდომის განახლების შემდეგ ობერ-ბურგომისტრმა წაიკითხა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მეფის ქცევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ძირითად კანონებსო. მუნიციპალური კომიტეტი პროტესტს აცხადებს კანონის მიერ დამყარებულ ავტონომიურ მმართველობის დარღვევის წინააღმდეგ, კომისარის განკარგულებას არ აასრულებს კომიტეტი.

კურსკი. გაზეთ „კურსკია ზაპისკი“-ს ცნობა თ. დოლგორუკოვის დაჭერის შესახებ სიცრუეა.

რიგა. დაიჭირეს სამი ტერორისტი.

კოვნო. დღისით მიდნი ქუჩაზე მძიმეთ დასჭრეს ჟანდარმთა უნტერ-აფიცერი. მოჰკლეს აგრეთვე გოროდოვოი და დასჭრეს პოლიციის მოხელე.

პოლტავა. ადგილობრივ ვაჭრებში ფინანსიური კრიზისია. ზოგიერთი დიდი ფირმა აღარ იხდის ვალებს.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

10 თებერვალი

პეტერბურგი, 9 თებერვალი. დეკემბერში ურუპის პოლკმა ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინა მთავრობას, სთხოვა განეთავისუფლებინათ იგი საპოლიციო სამსახურიდან და უარი სთქვა ხალხისთვის თოფის სროლაზე. ეს მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული. პოლკს ბრძანება მიუვიდა, დაშლილიყო. იანვრის შუა რიცხვებში ოლქის უფროსმა გამოსცა ბრძანება ჯარისადმი, რომლის თანხმად უნდა შეკრებილიყვნენ ყველა სტანიცები და ურუპის პოლკის ყაზახების დალატი განესაჯათ. ურუპელების ერთი ასეული გამაგრდა გიაგინსკი სტანიცაში, სადაც თავი მოიყარა შემდეგში მთელმა პოლკმა და პლასტუნთა ორმა ბატალიონმა. დაჰყარეს ხმა, რომ გიაგინსკში ჯარმა სიმაგრეები ააგო და თითო კაცს ას-ასი პატრონა აქვს მზათო. ამით ისარგებლეს სობიდანა და ნოვოროსიისკიდან გამოქცეულმა აგიტატორებმა.

6 თებერვალს მიაგინსკში მოვიდა ოლქის უფროსი ყაზახ-რუსებით, საზღვრის მოღარაჯეებითა და ცხენოსან არტილერისტებით. დღეს „კუბან“-ში დასტამბულია რომ ურუპელები დაჰნებდნენ და შეჰფიცეს ერთგულობათ.

ბაქო, 10 თებერვალი. ღამით გასჩხრიკეს ნავთის მრეწველთა საეზღოს კანტორა. ვერაფერი ვერ იპოვნეს. „ირშად“-ის რედაქტორს აღაევს ნება მიეცა გამოსცეს რუსულ ენაზე გაზეთი „პროგრეს“-ი და თათრულზე „ტარაკი“.

ვარშავა, 10 თებერვალი. ამ უკანასკნელ წლებში მოძრაობამ იჩინა თავი კათოლიკეების ქსენზებს შორის. დაარსდა სექტა „მარიავიტებისა“, რომელიც უარჰყოფს პაპის თაოსნობასა და ეპისკოპოსებს, და ცოლის შერთვის ნებას ითხოვენ. ეს მოძღვრება ეწინააღმდეგება კათოლიციზმის დოგმატებს.

„მარიავიტები“ აარსებენ კავშირებს, ჰყიდიან ხატებს, მეტადრე ღვთის-მშობლისას და უარს ამბობენ ჩენსტოხოვის ღვთის-მშობლის ხატზე. სექტას მეთაურობს ვინმე კოზლოვსკაია პლოცკიდან, რომელიც უამბობს ხალხს თავის სიზმრებზე. სამს ეპარქიაში 10 ქსენზი გადააყენეს, მაგრამ ხალხმა მათი მხარე დაიჭირა და ძალათ დააბრუნა ადგილზე წინანდელები. რამდენიმე სამრევლოში შეტაკებაც მოხდა. ამ მოძრაობას ხალხის მოძრაობაც მოჰყვა, რაც საშიშ ხასიათს იღებს. ერეტიკოს-ქსენზი ჯერ ჯერობით 70 კაცია.

პეტერბურგი, 10 თებერვალი. მთავარმა შტაბმა განმარტა, მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალით თანამდებობის პირთ ნება ეძლევათ პოლიტიკურ პარტიების მიმხრობისა, არ შეეხება სამხედრო პირთა და სამხედრო უწყების სამოქალაქო წევრთ, რომელთა შესახებ ძალაშია პოლიტიკურ პარტიებში მონაწილეობისა და პოლიტიკურ მიზნით გამართულ კრებებსა და ორგანიზაციებში შესვლის აკრძალვა.

11 თებერვალს სპარსეთში მიდის კომისია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ენზელი-რეშტ-კაზვინ-ხამადანისა და ჯულფა-თავრიზის უკვე დასრულებული გზატკეცილი.

ბერლინი. მოვიდა შვედეთის მეფე.

რიგა, 9 თებერვალი. რემერსჰოფთან სამმა კაცმა დუქნიდან ფულის გატაცება მოინდომა. იქითკენ გაიგზავნა მატროსები ლეიტენანტ თ. პუტიატინის თაოსნობით. ესენი ტყეში სამს უცნობს წააწყდნენ. ჩვენების ჩამორთმევის დროს ერთმა იმათგანმა სასიკვდილოთ დასჭრა პუტიატინი. მსროლელი მოჰკლეს მატროსებმა, ორი მიიმალა.

ლონდონი. „რეიტერ“-ის ცნობით, აკაბაში მივიდა კრეისერი „დიანა“, რომელიც სუეციდანაა გაგზავნილი და რასაც კავშირი აქვს ოსმალეთ-ეგვიპტის საზღვარზე მომხდარ ინციდენტთან. თანხმად კრეისერის კამანდირისა და ოსმალების სამხედრო რაზმის უფროს შორის მომხდარ შეთანხმებისა, ოსმალთ ჯარი წავა იმ ადგილებიდან, რომელნიც ეგვიპტის მიწა-წყალს ეკუთვნიან.

ლაგოსი, 9 თებერვალი. სოკოტოში ბრიტანეთის რაზმს გარს შემოერტყა ჩრდილოეთის მხრით ფანატიკოსთა ბრბო. გაანადგურეს აგრეთვე ფრანგების სადარაჯო პოსტი. მოჰკლეს 5 აფიცერი, ტყვეთ წაიყვანეს 2.

სოსნოვიცი, 9 თებერვალი. გაჩხრეკის დროს სოფ. ნოვკაში პოლიციასა და ჟანდარმებს თავს დაესხა 30 კაცი. მოჰკლეს ერთი და დასჭრეს 2 პოლიციელი. ერთი თავდამსხმელთაგანი დასჭრეს და დაიჭირეს.

ვარშავა, 11 თებერვალი. სოც.-დემოკრატები, რომელნიც ბოიკოტს უცხადებენ სათათბიროს, პროკლამაციებში აცხადებენ, რომ ისინი ყოველ ღონისძიებას იხმარენ და ჩაშლიან საარჩევნო კრებებს. ამიტომ შესაძლებელია ახალი შეტაკება კრებებზე.

პორხოვი, 11 თებერვალი. დაიწვა სატუსაღოს შენობა. მიაკლულია ნანგრევებს ქვეშ ცეცხლის მქრობელი და საშიშრადაა დამახინჯებული ორი. ცეცხლი გაჩნდა ტუსაღების არეულობის შემდეგ. ჰფიქრობენ, ცეცხლი ტუსაღებმა თუ წაუკიდესო.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩები იუწყებიან პეკინიდან, ჩინეთში სრული სიმშვიდეაო. არეულობის ნიშნები არაა.

რიგა. ქალაქის განაპირას 7 შეიარაღებული კაცი დაეცა იავზე ხე-ტყის მრეწველ მაის მეკასეს, წაართვეს 4500 მან. და თავში დასჭრეს.

ტულა, 10 თებერვალი. საბჭომ და მცხოვრებთა წარმომადგენლებმა სამადლობელი ადრესი მიართვეს გუბერნიის მმართველ ხვოსტოვს დეკემბრის გაფიცვის დროს რევოლიუციონერების ენერგიულად გაჟლეტისთვის.

პეკინი. ხანაანის პროვინციაში არეულობა შეწყდა.

პეტერბურგი, 11 თებერვალი. უწ. სინოდმა დაადგინა, ის სემინარიელები, რომელნიც იანვარში არ შეუდგნენ სწავლას, დათხოვნილებათ ითვლებიანო. მომავალ სამოსწავლო წელს უკან მიიღებენ მხოლოდ კეთილ საიმედოებს.

პარიზი. რუვიემ განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ მან გადასწყვიტა თავის მოქმედებაში დაეყრდნოს მემარცხენეთა უმეტესობას, მაგრამ იმავ დროს უარს არა ჰყოფს გარეშე დახმარებაზეც.

პეტერბურგი. ორიოლის ეპისკოპოსი დაინიშნა სუხუმის ეპისკოპოსად, სუხუმისა-კი ორიოლისად.

პეტერბურგი. ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ ორიოლისა, კურსკისა და პოლტავის გუბერნიებში სიმშვიდეა. კრემენჩუგის მაზრაშიაც სიწყნარეა. სიმშვიდეა აგრეთვე ჩერნიგოვის გუბერნიაში. ხალხი ყველგან მორჩილებას აცხადებს და პირობას იძლევა გასცეს აგიტატორები და მავნე პირები.

რეველი. რეველში გაიხსნა სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა გამოიძიოს მიზეზები ოქტომბრის არეულობისა რეველში.

სარატოვი. კუზნეცკის ციხის ტუსაღებმა, რომელნიც ტყეში იყვნენ წაყვანილნი სამუშაოზე, მოჰკლეს სამი დარაჯი. სამი მკვლელი მიიმალა.

პეტერბურგი, 11 თებერვალი. ოფიციალური. მინისტრთა საბჭოს 10 თებერვლის სხდომა აგრარულ საკითხს შეეხებოდა. საბჭო საჭიროდ სცნობს აუწყოს მცხოვრებთ, რომ საკუთრების უფლების ძალათ დარღვევის მოთმენა შეუძლებელია. რაც გლეხების უმიწა-წყლობას შეეხება, საბჭომ საჭიროთ დაინახა დაარსდეს ადგილობრივ კომიტეტები, რომლებშიაც შევლენ თანამდებობის პირნი და ერობისა და გლეხების წარმომადგენელნი გლეხთა გაჭირვების გამოსაძიებლად.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა დაუგზავნა გუბერნატორებს. „მოგახსენებთ თქვენ 20 თებერვლიდან შეუდგეთ არჩევნების ვადის დანიშვნას წვრილ მემამულეთა, გლეხებისა და მუშებისაგან. სასურველია სიების დამთავრება 10 მარტისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება. მიიღეთ ცხარე ზომები არჩევნების მოხდენის დასაცველად.“

ვარშავა, 11 თებერვალი. რევოლვერით მოჰკლეს ვისლის პირა გზების ინჟინერი ივანოვი.

პეტერბურგი. ინჟინერ სოკოლოვს, რომელიც კუშკის ციხეში ზის, დაიცავს პეტერბურგელი ვექილი გრუზენბერგი. საქმეს ტაშკენტის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ასხაბადში.

ბელოსტოკი, 11 თებერვალი. რადგანაც გლეხებს შორის ძლიერს პროპაგანდას ეწევიან რევოლიუციონერები, ამიტომ საერობო უფროსებმა დაარსეს კომისია ამ სენთან საბრძოლველად.

12 თებერვალი.

პერიმი. ოსმალოს ჯარს უკან დაახევინეს არაბებმა, სანააკიდან ტაისუმდე. მხარე ძლიერაა აღელვებული. ოსმალოთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ზოგიერთი ადგილი არაბებმა დაიჭირეს. ბრძოლა ტაისთან სწარმოებს.

კიევი. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, გაჰგზავნოს პეტერბურგს დელეგატები კიევში ქალთა უმაღლეს საუნივერსიტეტო კურსების აღდგენაზე საშუამდგომლოდ.

პეტერბურგი. ხელმწიფემ შემდეგის სიტყვით მიმართა ვლადიმირის თავად-აზნაურთა დეპუტაციას: „მე მოხარული ვარ თქვენი ნახვით. ჩემი გულითადი მადლობა გადაეცით ვლადიმირის თავად-აზნაურთ მათ ადრესში გამოთქმულ გრძნობებისთვის. მე კარგად ვიცი თქვენი ერთგულობა ტახტისა და სამშობლოსადმი და ღრმათა ვარ მასში დარწმუნებული. აგრეთვე მოხარული ვარ, რომ თქვენი საკუთრების უფლება ხელუხლებელი რჩება გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება-მოწყობის შემდეგ. ჩემის ბრძანებით ამ ჟამად მუშავდება ისეთი ზომები გლეხთა საკითხის გადასაწყვეტათ, რომელნიც მამულის კერძო საკუთრებას ხელუხლებლად სტოვებენ. მადლობელი ვარ თქვენი“.

ნიუ-იორკი. მარტინიკაზე ხელახლა დაიწყო ვულკან მონპელიეს მოქმედება. კუნძულის მცხოვრებთ თავს ზარი დაეცათ. 5 კაცი დაიჭრა ამონასროლ ქვა-ქვიშნარით და პორტ-დე ფრანსის გოსპიტალში გადაიყვანეს. ბევრი სახლი დააზიანა მიწის ძვრამ. მარტინიკასა, ვინცენტსა, გვადალუპსა, სანტა-დომინგოსა და დომინიკაზე ასეთი ძლიერი მიწის ძვრა არ უოფილა არასოდეს. ქალაქის მცხოვრებლები გარბიან, რადგანაც ეშინიანთ შენობების დანგრევისა.

პეტერბურგი. ბალტიის პირა მხარის კერძო შკოლებში, განზრახულია, სწავლება ადგილობრივ ენებზე შემოიღონ. ამ საკითხს სახელმწიფო საბჭო 17 თებერვალს განიხილავს.— თანახმად საზღვაო მინისტრის განკარგულებისა გაფიცვის მეთაურება საზღვაო უწყების ფაბრიკა-ქარხნებზე დათხოვნილ იქნებიან და უკან აღარ მიიღებიან. შენობებში კრებები აკრძალულია 1905 წ. 2 დეკემბრის დროებით კანონის ძალით.

ადესა, 12 თებერვალი. შტერნბერგის სახლის გაჩხრეკის დროს ანარქისტებმა ესროლეს პოლიციას. მძიმეთ დაიჭრა მეეზოვე სახლისა, მისი ცოლი და უბნის ზედამხედველი. ანარქისტები, რომელთაც რევოლვერები და ბომბები ჰქონდათ, ჩარდახზე დაიმალნენ. გამოიწვიეს ჯარი. დაიწყო საშინელი პირისპირი სროლა. ანარქისტებმა ორი ბომბა გადმოაგდეს სახურავიდან, მაგრამ ვერავინ ვერ დააზიანეს. მოჰკლეს სამი ანარქისტი, ორიც დაიჭირეს. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქზე.

ვარშავა. პრაგაში სოციალისტები შეიჭრნენ შენობაში, სადაც არჩევნების წინა კრება იყო გამართული. გამართეს ჩხუბ-დრიანცელი. ერთი წევრი კრებისა მოკლულ იქნა, რამდენიმეც დაიჭრა.

ნოვოჩერკასკი. დონის ჯარს მოუვიდა მეფის გრამოტა, რომელიც ამტკიცებს ყველა იმ უფლებებსა და უპირატესობებს, რომელნიც წინად ჰქონდა ბოძებული ჯარს.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა ახალი პროექტი პეჭდვითი სიტყვის წესებისა; ეს პროექტი ამ დღეებში განხილულ იქნება სახელმწიფო საბჭოში. თანახმად პროექტისა გაზეთის გამომცემაზე პასუხის გება გამომცემლიდან სტამბის პატრონზე გადადის. თუ რომელიმე ორგანოს გამომცემელს სასამართლომ აუკრძალა ორგანოს გამოცემა, იმ შემთხვევაში იმას ეკრძალება შეჩერებულ ორგანოს მაგიერის გამოცემა. თუ მას შეუტყვეს, რომ იგი პირადათ ან მეორე პირის შემწეობით განაგრძობს გამომცემლობას, იმ შემთხვევაში მას გადახდება ჯარიმად 3000 მ. და ციხეში იქნება ჩამწყვდეული ერთი წლიდან 3 თვემდე. სურათები ცენზურას უნდა წარუდგინონ ნომრის გამოსვლამდე.

გაზეთების სიტყვით იუსტიციის მინისტრმა დაუგზავნა სამოსამართლო უწყებას ცირკულიარი, რომელშიაც იგი ურჩევს სასამართლოს პირთ დახმარება გაუწიონ ჟანდარმთა სამმართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინდობილობათა აასრულების დროს; გამოარკვევინონ საკითხი იმის შესახებ, რომელი ტუსაღი უნდა გადაეცეს სამართალს, რომელი უნდა დაისაჯოს ადმინისტრატიულის წესით და რომელი განთავისუფლებულ იქნას.

კიევი. ანდრეევის დაღმართზე, გაჩხრეკის დროს, აღმოაჩინეს სტამბა უკრაინელ სოც.-რევოლიუციონერებისა.—33 კაცი იგზავნება ადმინისტრატიულის წესით იაკუტსკის გუბერნიაში 5 წლით.

ოჩაკოვი, 11 თებერვალი. ჩვენება ჩამოართვეს 50 მოწმეს, რომლების ჩვენებამ დაარღვია ბევრი ბრალდებანი. მოწმეების აზრით, მატროსები მხოლოდ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ სთქვამდნენ თავიანთ აზრსა და სრულებით არ ეხებოდნენ არსებულ წეს-წყობილებას. დამცველები ამტკიცებდნენ, რომ 100 მუხ. ძალით დასჯა არ შეიძლება. სასამართლომ უარი უთხრა დამცველებს კრეისერ „ოჩაკოვის“ და ზარბაზნების დათვალიერებაზე, რათა დაემტკიცებინათ, რომ კრეისერს ესკადრისთვის არ უსვრია. შმიდტი გულახდილად იძლევა ჩვენებას, ბევრი მოწმის ნაჩვენებს ასწორებს და თავის თავზე იღებს ისეთს ბრალდებას, რომელიც სხვების წინააღმდეგ არის მიმართული.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კანალიზაციის გასაკეთებლად ლაზარევის ქუჩაზე მე-VII ნაწილში. გასაკეთებელია 128 საჟ. ბეტონის მილი 0,375+0,25-სა და 4 ჩასახედი ჭა.

წერილობითი პირობები აღნიშნულ სამუშაოების ფასების აღნუსხვით უნდა წარმოედგინოს გამგეობას დახურულ კონვერტებში ამა წლის 15 თებერვლამდე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევის 12-დან 2-მდე, (ნ. 3—2)

ახალი წიგნები

სამი სიტყვა. თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა—ერთობა ივ. მაჰავარიანისა—5 კ.

როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა—4 კ.

ლუკმა პურის ამბავი ანუ ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან თარგმანი კ. ნინიძისა—6 კ.

იყიდება ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში, ტფილისი კირიონი ქუჩა № 7. და ქ. შორის წ. კ. გამ. საზოგადოების მაღაზიაში. (5—6.—5)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ცელლულოიდის კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 90. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—37).

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ოთხი წიგნი

!!!ნ ე რ გ ი!!!

ოთხი წლისათვის საკითხავი, საწერი და საგრამატიკო მასალით ანბანითურთ, სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის სახმარად. შეიცავენ რჩეულ წერილებს ძნელი სიტყვების განმარტებით,

თვითეული წიგნი ღირს 20 კაპეიკი გაგზავნით. წიგნთ მოვაჭრეებს და სკოლებს დაეთმობათ 15 კაპეიკად. გასაცნობად გამწერთ შეუძლიათ წიგნების ფასი მარკებით გამოგზავნონ. მზადდება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წლების წიგნებიც ამავე სახელით. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановскій пер. 38. Ивану Павлвичу Ростомашвили.

აქვე იყიდება სახლი, ცხრა ოთახი და სარდაფი 80 საჟენი მიწით, ბანკის ვალი 1600 მანეთი, დასამატი 2400 მანეთი. წყნარი ადგილი და სუფთა ჰაერია. (10—10)

მორთული და მოკაზმული ნომრები

„ლივადია“

ქალაქის შუაგულში, სახაზინო თეატრის გვერდით, თეატრის შესახვევში, მშვენივრად მორთული და მოწყობილი ოცი ოთახი. იძლევა დღიურად ათი შაურიდან ნომერი და თვიურად 12 მანეთიდან და მეტი. სისუფთავე და თავაზიანი მსახური. (2—49—2)

ქუთაისში

 საშ. ბ. თოფურიას სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგლეხო საადგილ-მამულო ბანკისა.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების და მისს იმპერატორებით უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის შორის მომხდარ შეთანხმების ძალით ქალაქ ტფილისში იხსნება ამიერ-კავკასიის განყოფილება საგლეხო საადგილ-მამულო ბანკისა; ბანკი იმოქმედებს ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, რომელიც ექვემდებარება კავკასიის საერთო სამოქალაქო მმართველობას, ესე იგი ტფილისის, ქუთაისის, ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებში. ზემოხსენებული განყოფილება შეუდგება მოქმედებას 1906 წ. თებერვლის 15-დან. (5—43—5).

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.